# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 28 იანვარი, 2011 წელი.

№17 (6628)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge  ვებ გვერდი: www.open.ge  ფასი 50 თეთრი.

## ვინ და რატომ შარდავს დემოკრატიულ საქართველოში?



③

**არავითარი შარდვა!..**

პრეზიდენტის გამეხებული გამოსვლა გვაგუმანებდა, თურმე იგი დადარაჯებული იყო ვეტერანთა აქციაზე

## რატომ არ იყო სააკაშვილი მზად რთულ კითხვებზე პასუხის გასაცემად?



სააკაშვილისგან განსხვავებით შევარდნაძე ჟურნალისტების კითხვებს იტანდა, რადგან მას გამოცდილება ჰქონდა ④

## ოპტიმიზმი პრეზიდენტისეულად



③

ანუ ტურიზმი ლუმინალია, რომელიც თურმე ყველა დაავადებას კურნავს

## „ინფლიაციამ“ პრეზიდენტს მოსვენება დაუკარგა! ⑥

*— გჯერათ, ხალხო? — განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა, — მთელი ღამეები არ მძინავს, ერთთავად იმის ფიქრში ვარ, დილით რომ გავალ მაღაზიებში პურზე, შაქარზე, ზეთსა და პირველადი მოხმარების სხვა პროდუქტებზე ფასები მომატებული არ დამხვდესო.*

## წინააღმდეგობის მოძრაობა ② ძლიერდება



## წიგნის კაცი

ვულოცავთ!



⑤

## ვინ უნდა ჩაუდგეს ქვეყანას სათავეში, ⑥ პატრიარქის თუ სააკაშვილ-მერაბიშვილის ტანდემის შერჩეული?



## რას მოგვიტანს თბილისის სასაქონლო ბირჟის ამოქმედება?

ანუ როდის მოელება ბოლო ბაზრის მონოპოლისტთა პარპაშს? ⑤



**შეფასება**

# პრეზიდენტის გამოსვლის ღონისძიებაზე, ალბათ, მილიონზე მეტი დაიხარჯა?

## არაადეკვატური, უგუნური, პოლიტიკური თავხედი?!

**ხალხი უსმენს პრეზიდენტს... უკაცრავად, პრეზიდენტი უსმენს ხალხს — ეს პროექტი კიდევ დიდხანს იქნება საზოგადოების ბჭობის საგანი. ამონარიდები მიხეილ სააკაშვილის ფრთიანი გამონათქვამებიდან, ალბათ, რამდენჯერმე წაგვადგება ჟურნალისტებს სტატიების მომზადებისას და ა. შ. თუმცა ეს არ არის მთავარი და არც ის არის მთავარი, როგორ დაისვა კითხვა, ან რა პასუხი გასცა პრეზიდენტმა მას. ის უფრო საინტერესოა, რამდენად წაადგება ასეთი პროექტები ხალხსა და ქვეყანას?**

საერთოდ, როგორც მიხეილ სააკაშვილმა გვირჩია, მის სიტყვებს არ უნდა გამოვეკიდოთ (რადგან ჩემთვის ყველაფრის დაჯერება არ შეიძლებაო.. კიდევ კარგი, თავისი პირით აღიარაძ. ეს პასუხი „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტის მერაბ მეტრეველის კითხვას მოჰყვა, რომელმაც პრეზიდენტს თავისი დანაპირები შეახსენა, რომ 2009 წელს დევნილები სოხუმში შეხვდებოდნენ. თუმც მეტრეველის კითხვაში ეს არ იყო მთავარი, მან კითხვა დევნილების თბილისიდან გასახლების გამო დასვა, რასაც პრეზიდენტმა არ უპასუხა. სამაგიეროდ, სწორედ პირველ ნაწილს „გამოეკიდა“ და საკმაოდ უცნაურად დაგმოძღვრა: „ყოველთვის გავიმეორებ, რომ მომავალ წელს აფხაზეთში შევხვდებითო“.

**მერაბ მეტრეველმა** ასეთი კომენტარი გააკეთა: **„ჩემთვის მთავარი იყო არა დევნილების განსახლების, არამედ მათი დასაქმების პრობლემა. რატომ არ გაუჩნდა მას დევნილებთან შეხვედრის სურვილი, არ უპასუხა. თითქოს ანაკლიაში ვაპირებთ ქარხნის გახსნასო, იქ წეროვანში დავასაქმეთ დევნილებიო, მაგრამ როდის იქნება, ეს, არავინ იცის. ანუ მან ჟურნალისტების კითხვებს არაადეკვატური პასუხი გასცა და აქცენტები სხვა რამეზე გააკეთა. არა იმიტომ, რომ პრეზიდენტი საქმის კურსში არ არის“.**

მეტრეველი ამბობს, რომ ტელეკომპანია „მზის“ სტუდიაში 30-მდე ჟურნალისტი მიიწვიეს, მერე კი განუცხადეს, რომ მხოლოდ ოთხი კითხვის დასმის საშუალება იყო: **„ამან უკმაყოფილება გამოიწვია, არადა საკმაოდ ბევრი კითხვა გვქონდა მომზადებული. მაგალითად ვფიქრობდი, ინფლაციაზე მეკითხა, ან ასეთი ზოგადი კითხვა დამესვა — როგორ ფიქრობთ, თუ იქნება თქვენი ხელისუფლება პირველი, რომელიც საქართველოში არჩევნების გზით შეიცვლება?.. სამწუხაროდ, კითხვის დასმის საშუალება ჟურნალისტებს აღარ მოგვეცა, ამიტომ უმჯობესი იქნება, თუკი ცალკე შეგვხვდება მედიის წარმომადგენლებს“,** — აღნიშნა ჟურნალისტმა.

იმავე აზრს იზიარებს ექსპერტი **ზურაბ აბაშიძე: „პრეზიდენტს უფრო ხშირად უნდა ჰქონდეს ურთიერთობა ჟურნალისტებთან, ცოცხალი შეხვედრები, განსაკუთრებით ოპოზიციურ მასმედიასთან. მაშინ უფრო კარგად წარმოჩნდება მისი პოზიცია ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. პრეზიდენტს რაც მეტი შეხვედრა ექნება საზოგადოებასთან, უკეთესია. ასეც უნდა იყოს. რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობებს, მან კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ რუსეთთან საერთო ენის გამონახვა აუცილებელია და მზად ვართ სასაუბროდო, ეს მე მგონი, აბსოლუტურად სწორი მიდგომაა. მაგრამ დღევანდელობისთვის სოციალური პრობლემატიკა უფრო მნიშვნელოვანია, როგორც ეს ამ პროექტისას კიდევ ერთხელ გამოჩნდა“.**

პრეზიდენტს თითქმის ყველა პარტიის წარმომადგენელმა კითხვები გაუგზავნა. ყველაზე მოკლე კითხვა ლეიბორისტებს ჰქონდათ — **როდის გადადგები?** მაგრამ პრეზიდენტმა ყველას თავი აარიდა, ან გაკვრით ახსნა, სამაგიეროდ, ოპოზიციას უწოდა „სუსტი“, ისე, როგორც არასდროს. ვეტერანების დარბევის თემა, პენსიონერთა მდგომარეობა, უკანონო პატიმრები, სილარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ადამიანთა რიცხვის ზრდა, საგარეო ვალები და ასევე ყველაზე მნიშვნელოვანი — ინფლაცია... აი, ის თემები, რომელიც ოპოზიციას აინტერესებდა. პრეზიდენტის გამოსვლით ყველა უკმაყოფილოა.



„თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელი **თეა წულუკიანი** ამბობს, რომ ისინი სააკაშვილისგან მაინცდამაინც განსაკუთრებულს არ მოელოდნენ: **„მინდა ვთქვა, რომ მისმა პასუხებმა მოლოდინს გადააჭარბა. დავრწმუნდით, რომ ის ქვეყნის პრობლემების შესახებ ინფორმაციას არ ფლობს. მართალია, ამის შესახებ ვიცოდით, მაგრამ ახლა კიდევ ერთხელ დავრწმუნდით. მან საჯაროდ გამოავლინა, რომ არ აქვს მომავლის ზუსტი ხედვა და არც პროგრამა. არ იცის, როგორ გამოიყვანოს ქვეყანა იმ ჩიხიდან, რომელშიც თვითონ შეიყვანა თავისი უგუნური პოლიტიკით. უკვე ლიტონი სიტყვები აღარ არის ის, რომ მან თავისი სახელმწიფოებრივი აზროვნების უნარი ბოლომდე ამოწურა და დროა, გზა დაუთმოს სხვას“.**

პრეზიდენტის დამოკიდებულებით უკმაყოფილოა საპარლამენტო ოპოზიციაც. **გია ცაგარეიშვილი** მიხეილ სააკაშვილს გამონათქვამების გამო აკრიტიკებს და „თავხედს“ უწოდებს. **„ეს იყო სააკაშვილის სტილში ჩატარებული პიარ-ღონისძიება. სხვა დანიშნულება მას არ ჰქონია. ეს იყო კარგად დადგმული სპექტაკლი, ვითომ პირდაპირი ჩართვები რეგიონებიდან, ორგანიზებული სტუდია და ბრწყინვალე ფასადური ეფექტები.**

**ვფიქრობ ამაზე დიდი თანხები დაიხარჯა, როგორც ყველა სააკაშვილის დადგმულ ღონისძიებას, ამასაც დიდი ფულის სუნი ასდიოდა. ალბათ, მილიონზე მეტი დაიხარჯებოდა.**

**საზოგადოებაში ბევრი სოციალური პრობლემა დაგროვდა, მაგრამ ვფიქრობ, ნაციონალთა გუნდმა რაღაც საშიშროება იყნოსა და ეს შიშები გამოსჭვიოდა კიდეც პრეზიდენტის გამოსვლიდან. სხვა შემთხვევაში პრეზიდენტს კომუნიკაბელურობა არ ახასიათებს, განსაკუთრებით ჟურნალისტებთან (მათ მხოლოდ ოთხი კითხვა დაასმევინეს) და ობივატელის დასმული კითხვებიც ფორმულირებული იყო. მაგალითად, ერთმა თქვა, იგოეთის გზა გააკეთეთ, შუქი გაიყვანეთ, რა კარგიაო და ამით კითხვა მორჩა. დარბაზშიც უმეტესობა ნაცმოძრაობის აქტივისტი და კოორდინატორი იყო. ანუ აუდიტორიაც „გაწურული“, შერჩეული ჰყავდათ. ჩვენ ვიხილეთ თეატრალიზებული წარმოდგენა და პასუხებიც არაადეკვატური იყო. ან რას ნიშნავდა პრეზიდენტის კომენტარი და უხამსი სიტყვის ხმარება, როცა ვეტერანებზე ისაუბრა. ან როგორ შეიძლება შეურაცხყოფა მიაყენო იმ დროშას, რომლის ქვეშ სამშობლოსთვის სისხლი დაღვარეს ადამიანებმა (მაშინ სააკაშვილი მაგიდის ქვეშ იჯდა). როცა საუბრობს, ენას კბილს არ აჭერს (ის არის პოლიტიკური თავხედი, რადგან ლაგამი არა აქვს ამოდებული და ლაპარაკობს იმას, რაც მოეპრიანება.**

**— ეს ყველაფერი ოპოზიციის სისტუსტის ბრალი ხომ არ არის, მით უმეტეს მან გარკვევით თქვა, ოპოზიცია სუსტიაო.**

— ნორმალური ხელისუფლების სისუსტის მაჩვენებელია ის, თუ ოპოზიცია მისი მმართველობის პერიოდში დასუსტდა. ეს სულაც არ არის სატრაბახო. როცა ოპოზიცია სუსტია, ეს ზოგადად პოლიტიკურ სისუსტეზე მეტყველებს. პრეზიდენტი უნდა წუხდეს ამის გამო, მაგრამ პირიქით, ღიმილი დასთამაშებს სახეზე და უხარია. მერაბიშვილის ზურგს უკან ამოფარებულისთვის მუშტების ქნევა, ადვილია...

**— ხომ არ დაასუსტა ოპოზიცია იმ „ზურგს უკან“ გარიგებებმა, სურვილების ჩამონათვალების ჩამოწერამ და ა. შ., რაზეც პრეზიდენტმაც მიანიშნა?**

— ასეთი ჭორებისა არაფერი ვიცი. ეს თავად სააკაშვილთან უნდა გაარკვიოთ; არის თუ არა ეს მართალი, არ ვიცი. ეს ასინეთური, ბიწაძე-ბურჯანაძე-სააკაშვილის სტილის მიდგომები არ მახასიათებს...

ესაუბრა
**თეა მოსია**

**ღმერთმა ქნას!**

# წინააღმდეგობის მოძრაობა ძლიერდება

**„საერთო-სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობამ“, რომელიც 2010 წლის 22 დეკემბერს დაფუძნდა, აქტიური საქმიანობა დაიწყო.**

**ამ მოძრაობის ერთ-ერთი წევრის, ბატონ ჯემალ სეფიაშვილის თქმით, „ეს არის მოძრაობა ქვეყანაში ჩამოყალიბებული ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ. ჩვენი ამოცანაა, რეჟიმის მიერ მიტაცებული უფლებების ხალხისთვის დაბრუნება.**



**ეს იქნება ბრძოლა სამოქალაქო უფლებებისთვის, განსხვავებით პარტიებისგან, რომლებიც ხელისუფლებისთვის იბრძვიან“.**

სწორედ სამოქალაქო უფლებების დაცვისთვის გასაწევი საქმიანობის პირველი ეტაპის გეგმა გააცნო საზოგადოებას და მედიას წინააღმდეგობის მოძრაობის ლიდერმა დავით თარხან-მოურავმა. მან 27 იანვარს გამართულ ბრიფინგზე წარადგინა ომბუდსმენები, რომლებიც იმუშავებენ სხვადასხვა მიმართულებით და არა მარტო დააფიქსირებენ ადამიანთა უფლებების შელახვისა და დარღვევის კონკრეტულ ფაქტებს, არამედ მოახდენენ მათზე ოპერატიულ რეაგირებას.

კომპეტენტურად გაანალიზდება ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები და დასკვნები რეაგირებისთვის გადაიგზავნება ევროსტრუქტურებსა და ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებს.

27 იანვრიდან 24-საათიან რეჟიმში იმუშავებს წინააღმდეგობის მოძრაობის ცხელი ხაზი. მოქალაქეებს საშუალება ექნებათ, ოპერატიულად დააფიქსირონ უკანონობისა და დანაშაულის ფაქტები. მათ მოემსახურებიან წინააღმდეგობის მოძრაობის ომბუდსმენთა მობილური ჯგუფები, რომლებშიც შედიან ადვოკატი, ჟურნალისტი და ოპერატორი.

**გთავაზობთ ომბუდსმენთა ჩამონათვალს:**

**1. თავისუფლებაშელახულ და თავისუფლებააღკვეთილ მოქალაქეთა ომბუდსმენები** — ლალი აფციაური, გელა ნიკოლაიშვილი **ამ მიმართულებაში შედის: უკანონო და პოლიტპატიმრების ომბუდსმენი** — ეკა ჯიხვაშვილი, **არასრულწლოვან პატიმართა და პატიმარ ქალთა ომბუდსმენი** — ნინო რატიშვილი, **პოლიტდევნილთა ომბუდსმენი** — მერაბ ბლადაძე **(ბრიუსელი);**

**2. სამხედრო ომბუდსმენები** — ნოდარ ეფრემიძე, ჯიმი ოთანაძე;

**3. ომის ვეტერანთა ომბუდსმენები** — ელგუჯა ჩხაიძე, ჯემალ გუნდიშვილი, რამაზ ღვალაძე;

**4. დევნილთა ომბუდსმენი** — დავით ლილუაშვილი, მაია ხარაძე;

**5. მედიცინის დარგის ომბუდსმენი** — მარინა ბერაძე:

**6. ახალგაზრდული მოძრაობების ომბუდსმენი** — ლადო სადღობელაშვილი;

**7. მედიაომბუდსმენები** — მერაბ ჭიქაშვილი, ირმა ინაშვილი;

**8. პროექტის — „სახალხო კანცელარია“ — ომბუდსმენი** — მამუკა გობეჩია;

**9. ომბუდსმენი ემიგრაციის საკითხებში** — ნინო ცხოიძე;

**10. კულტურისა და ხელოვნების სფეროს ომბუდსმენი** — ჯემალ სეფიაშვილი, არჩილ ლეკიშვილი;

**11. ინვალიდ ბავშვთა ომბუდსმენი** — ნანა ლეჟავა.

ქალბატონი ნანა კაკაბაძე უხელმძღვანელებს ჯგუფს, რომელიც იმუშავებს ევროსტრუქტურებთან ინტეგრაციისა და საკანონმდებლო დარღვევების საკითხებზე. ამ ჯგუფის ოფისები ამოქმედდება ბრიუსელსა და ჟენევაში.

უახლოეს ხანში მოძრაობა დაასახელებს ომბუდსმენს განათლებისა და მეცნიერების დარგში.

**საკონტაქტო პირი — ირმა ინაშვილი — 897 11 99 11;**

inashvili@ymail.com

**წინააღმდეგობის მოძრაობის მისამართი — თბილისი, კინოს სახლი, პირველი სართული.**

**გია გაბრიჭიძე**

**ოპოზიცია**

# ქართველი ოპოზიციონერები ევროსაბჭოს საპარლამენტო პრეზიდენტს შეხვდნენ

**„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა და „ხალხის პარტიის“ თავმჯდომარე კობა დავითაშვილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტს მევლუდ ჩაუშოღლუს შეხვდნენ.**

როგორც „თავისუფალი საქართველოს“ პრესსამსახურიდან იტყობინებიან, შეხვედრაზე განხილულ იქნა საქართველოში არსებული საშინაო პოლიტიკის რამდენიმე ძირითადი საკითხი: კერძოდ კი, წინა წლებში გაყალბებული არჩევნები და ამჟამად მიმდინარე მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის საარჩევნო კოდექსის შესახებ; ახალი კონსტიტუცია, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მიხეილ სააკაშვილს, დარჩეს ხელისუფლებაში მეორე ვადის ამოწურვის შემდგომ, თავდასხმები პოლიტიკურ ოპონენტებზე, მათი გატაცებისა და ცემის შესახებ; პოლიტიკური პატიმრები; დევნილების გამოსახლება საქართველოს დედაქალაქიდან და ძალადობა მათ წინააღმდეგ; სიტყვის თავისუფლება და ხელისუფლების მიერ წარმოებული პროპაგანდისტული კამპანია — ამ კონტექსტში განხილული იქნა, აგრეთვე, ტელეკომპანიების „იმედის“ და „რუსთავი-2“-ის მიერ გავრცელებული დეზინფორმაცია ევროსაბჭოს საქმიანობასთან დაკავშირებით; კონფლიქტები, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები და ამ კონფლიქტების გადაწყვეტის გზები.

შეხვედრაზე დელეგაციის წევრებმა ასევე წამოჭრეს საკითხი რამდენად იქნება შესაძლებელი ევროსაბჭომ განახორციელოს უშუალო მონიტორინგი როგორც პოლიტიკური პატიმრების უფლებებთან დაკავშირებით, აგრეთვე ახალი საარჩევნო კოდექსის იმპლემენტაციასთან დაკავშირებით.

ვიზიტის ფარგლებში მიღწეულ იქნა შეთანხმება შემდგომი თანამშრომლობის შესახებ ევროპის საბჭოს სხვადასხვა ინსტიტუციების ფარგლებში.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## ოპტიმიზი პრეზიდენტისებურად

# ტურიზმი ლუმინალია

**ტურიზმი ყველა სატკივარის წამალი ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს პრეზიდენტი ქვეყანაში ყველა პრობლემის მოგვარებას რომ ტურიზმის საშუალებით აპირებს, ეს მისი 2-საათიანი და 45-წუთიანი გამოსვლიდან ნათლად დავინახეთ.**

სატელევიზიო პროექტს „პრეზიდენტი პასუხობს შეკითხვებს", 25 იანვარს ე.წ. ნაციონალურმა არხებმა 18.00-დან – 20.45 საათამდე პრაიმ-თაიმი დაუთმეს. ოფიციალურად პროექტის ავტორი „პირველი საინფორმაციო კავკასიურია", რომელიც სწორედ ამ „მოკრძალებული" პროექტით გავიდა ეთერში. პრეზიდენტმაც თავისი გამოსვლა ამ არხის რეკლამით დაიწყო და გვაცნობა, რომ ეს არის მსოფლიოს საუკეთესო ჟურნალისტების მიერ შექმნილი არხი, რომელიც საქართველოს შესახებ სამყაროს პირუთვნელ სიმართლეს მოუყვება.

პრეზიდენტის ეთერის წაყვანის პატივი რუსულენოვან ეკატერინე კოტრიკაძეს (პირველი საინფორმაციო კავკასიური) და ორი წლის წინათ სწორედ ამგვარ ეთერში „გამობრძმედილ" ვახო სანაიას (საზოგადოებრივი მაუწყებელი) ერგოთ. მათთან ერთად საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩართვებს ისევ ე.წ. ნაციონალური არხების „ცნობადი" ჟურნალისტები უძღვებოდნენ.

ჩართვები კი შემოგვთავაზეს მისაქციელიდან, ბორჯომიდან, ბათუმის ცენტრიდან, მესტიიდან, მარნეულიდან, თბილისის ცენტრიდან. გათვალისწინებული იყო თითქმის ყველა სეგმენტი – სტუდენტები, მუშათა კლასი, გლეხობა, ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილი სახელოვნებო და ინტელექტუალური საზოგადოება (დარბაზში), ემიგრანტები უცხოეთიდან, ჟურნალისტები გვერდითა ოთახიდან... ერთი სიტყვით ყველაფერი იყო გაკეთებული, რომ პრეზიდენტს თამამად ეთქვა: „ჩვენთან ჩაწყობილი კითხვები არ არის". ამის მიუხედავად, „ჩაწყობილი" კითხვები იყო, მაგრამ დემოკრატიისთვის „ხარკის მოსახდელად", რამდენიმე უსიამოვნო შეკითხვაც დაისვა.



ექიმო, თავი მტკივა
— ლუმინალი
ექიმო, გული მტკივა
— ლუმინალი
ექიმო, კბილი მტკივა
— ლუმინალი
ექიმო ყელი მტკივა
— თო — კი!

**ნოდარ დუმბაძე**
„თეთრი ბაირაღები"

ცხადია, ვერ ავცდით გულახდილობასაც და პრეზიდენტის ბიოგრაფიიდან რამდენიმე უცნობი დეტალიც შევიტყვეთ. ასე მაგალითად, მიხეილ სააკაშვილს, რომელიც ამ ათიოდე წლის წინათ მისაქციელის ჩაბნელებულ გზაზე ავტომობილით მოძრაობდა, საბურავი დაშვებია და ავარიასაც გადარჩენილა. ამჟამად მისაქციელი განათებულია და ამ სოფლის მოსახლეობამაც ელექტროფიკაციისთვის მთელი ქვეყნის გასაგონად გადაუხადა პრეზიდენტს მადლობა. ასევე შევიტყვეთ, რომ ავადსახსენებელ 90-იანებში, როცა პრეზიდენტი ერთი უბრალო ოჯახის უმცროსი წევრი იყო, პურის რიგებში ღამეებს ათენებდა.

დაახლოებით ამავე პერიოდში სამას ქართველ ახალგაზრდასთან ერთად, სამი გადაჭედილი ავტობუსით (!) სომხეთში „ტოეფლის" ტესტის ჩასაბარებლად წასულა და ინგლისური ენის კარგი ცოდნის წყალობით, იმ სამ ბედნიერ ქართველს შორის მოხვედრილა, რომლებმაც აშშ-ში სწავლის უფლება მიიღეს; შევიტყვეთ, რომ უკვე პრეზიდენტობის დროს, 15-20 ხელმოკლე ოჯახზე განსაკუთრებული მზრუნველობა, როგორც თავად აღნიშნა, „შეფობა" ქონია აღებული და ადმინისტრაციული კოდექსი მისი და ზურაბ ადეიშვილის ავტორობით შექმნილა.

მოსახლეობის კითხვები, ძირითადად, სოციალურ თემატიკას, დასაქმებას, ქვეყნის ინფრასტრუქტურის მოწყობას ეხებოდა. ემიგრანტები პრეზიდენტთან დაბრუნების შემთხვევაში, საქართველოში ცხოვრების პერსპექტივებს არკვევდნენ; დარბაზში შეკრებილი საზოგადოება ელეგანტურად დაინტერესდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკით; ისევე როგორც ორი წლის წინათ, ყველაზე საქმიანი შეკითხვები წელსაც დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლებმა დასვეს და ისევე როგორც ორი წლის წინათ, პრეზიდენტი სწორედ მათ შეკითხვებზე გაბრაზდა.

სწორედ ჟურნალისტთა მიერ დასმული შეკითხვების წყალობით დაატყდა თავს პრეზიდენტის რისხვა ვეტერანებს. იმის შესახებ, თუ რატომ აყარეს გმირთა მოედნიდან მოშიმშილე ვეტერანები, მიხეილ სააკაშვილისგან მოვისმინეთ ზუსტად ის შეურაცხმყოფელი განმარტება, რომელიც მისივე უმრავლესობამ ამ ფაქტთან დაკავშირებით უფრო ადრე გააკეთა.

თანაგრძნობით შეზავებული რისხვა არ ასცდათ დევნილებსაც. მართალია, პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ უაფხაზეთოდ და უსამაჩაბლოდ მისთვის გათენებული ყოველი დღე ტკივილია და დევნილია თავადაც, ვიდრე ქვეყანაში ერთი დევნილი მაინც არსებობს, მაგრამ იქვე განმარტა, რომ დევნილების შთამომავლობას არ უნდა ეგონოთ, რომ მათი სახლი თბილისის ცენტრშია.

პრეზიდენტის მკაცრი შეფასებები არ ასცდათ განათლების რეფორმის „ლიბერალ მამებს", მათ მიხეილ სააკაშვილმა ამჯერად დებილები არა, მაგრამ „ჭკუის კოლოფები" უწოდა; რისხვა დაიმსახურა ზოგიერთმა ქართულმა ტელევიზიამ, რომელიც „მარსიდან გადმოსცემს" ამბებს და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, პრეზიდენტის მკაცრი შეფასება მიიღო ამერიკულმა „ნიუ-იორკ თაიმსმა"...

იხ. 4 გვ.

**საყურადღებო ნაშრომი ქართულ-რუსული ურთიერთობების უახლესი ოცი წლის ისტორიის შესახებ:**

**გულბაათ რცხილაძე, გიორგი ვეკუა:**

**„რუსეთი და საქართველო: რა ხდება?"**

(ევრაზიის ინსტიტუტის გამოკვლევა, თბილისი, 2010 წ.).




პოლიტოლოგები გულბაათ რცხილაძე და გიორგი ვეკუა თავიანთ ბროშურაში დაწვრილებით აანალიზებენ საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან რუსეთთან ურთიერთობებში დაშვებულ უხეშ შეცდომებსა და განზრახულ პროვოკაციებს. ბროშურა ილუსტრირებულია. თბილისის ფარგლებში მისი შეძენა შეიძლება „მაცნეს" და „პლანეტა-ფორტეს" საგაზეთო ჯიხურებში, ისევე როგორც „პარნასის" წიგნის მაღაზიათა ქსელსა და პეკინის ქუჩაზე მდებარე წიგნის მაღაზიაში. ბათუმსა და ქუთაისში ევრაზიის ინსტიტუტის აღნიშნული გამოკვლევა „პრეს-ექსპრესის" სტენდებზე იყიდება. ბროშურის ფასი 50 თეთრია.

## შთაბეჭდილება

# ვინ და რატომ შარდავს დემოკრატიულ საქართველოში?

რა არის ხელმძღვანელის, მაგალითად ქვეყნის პრეზიდენტის, ხელმძღვანელობის წარმატების მთავარი ენერგეტიკული ამძრავი?

**გამომგონებლობა და იმპროვიზაცია, ანუ შემთხვევით გაბზუილებული აზრის მყისიერად სპილოდ ქცევა და სრულიად ეროვნულ სამომავლო ნიშანსვეტად წარმოჩენა პრეზიდენტის ხშირი და ხმაურიანი იმპროვიზებით ენაჩაგდებული ერისთვის.**

აი იმ დღეს პრეზიდენტ მიხეილს მოულოდნელად შთაგონება ეწვია: **სრულიად საქართველოს მოსახლეობის თხილამურებზე ტოტალურად შეყენება.**

იდეა არის მარტივი, როგორც ყველაფერი გენიალური და ხალხისთვის სასარგებლო, როგორც მიხეილის ნებისმიერი გამოგონება.

ჯერ ერთი თხილამურებით სრიალი ჯანმრთელობაა, ორგანიზმს აკაჟებს და ასალკდევებს, განსაკუთრებით 70-95 წლის ასაკშია მისწრება, გინდ კაცი იყოს, გინდ ქალი, მით უფრო, თუ მარაზმი და რევმატიზმი აწუხებს.

მეორეც: აყვავებული თხილამურების წარმოება ლონივრად შეეშველება ბიუჯეტს. აი, სილატაკიდან ქვეყნის გამოყვანის კიდევ ერთი მძლავრი რესურსი! ოღონდ ეს კიდევ არაფერი...

მოხდა ეპოქალური აღმოჩენა, რომელიც თავისი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება დმანისის აღმოჩენას მზიასა და ზეზვას სახით:. როგორც ხაზგასმული სიამაყით ბრძანა მისმა აღმატებულებამ 25 იანვარს ეროვნულ კითხვა-პასუხის საღამოზე – ჩვენში თურმე ყველაზე „ხარისხიანი თოვლია მსოფლიოში".

ეს აქამდე უცნობი ბუნებრივი სიმდიდრე ახალ ჰორიზონტებს გვისახავს. განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ ქართული თოვლი სავარაუდოდ მრავალჯერადი გამოყენებისაა, რაც მისი ფართო მასშტაბით იმპორტის საშუალებას იძლევა, თანაც: წაახალისებს ვაჭრობის ახალ დარგს – მეთოვლეობას, რაც თავის მხრივ, მთელ ინფრასტრუქტურას წარმოქმნის – შეფუთვის საშუალებების წარმოებას, დიზაინის სამსახურს, რეკლამის სამსახურს, ხელმრუდეთაგან დაცვის საშუალებებს... შემდგომი კვლევა იმ პერსპექტივითაც გვაიმედებს, რომ თოვლში აღმოვაჩინოთ სასარგებლო წიაღისეული და ხალხის სამსახურში ჩავაყენოთ. ამასთან რა თქმა უნდა, იმის საშიშროებაც არსებობს, რომ ზოგიერთმა არასახელმწიფოებრივად მოაზროვნე ინდივიდმა ხელის მოთბობის მიზნით თოვლის საზღვარგარეთ ჩანთებით გატანა სცადოს, თუმცა მთლიანად არა, მაგრამ ვანოს უწყების სიფხიზლის წყალობით ამ ხვრელის ძირითადად დაგმანვა შეიძლება.

კიდევ ერთი. პრეზიდენტმა დემოკრატიის დაცვის ახალი ფორმულა გააჟღერა... 

კიდევ ერთი. პრეზიდენტმა დემოკრატიის დაცვის ახალი ფორმულა გაახმიანა: **არავის მივცემთ უდროო დროს და უადგილო ადგილას მოშარდვის უფლებას!**

ამრიგად, უარი შარდვას!

საქართველოს დემოკრატიის გამარჯვება პირდაპირ ყოფილა დამოკიდებული ვის სად მოეპრიანება შარდვის ალკვეთაზე.

ეს არაჩვეულებრივი ფორმულა გამოკრისტალდა იმის პასუხად, სამშობლოს მთლიანობისთვის ბრძოლების მონაწილე ვეტერანები სულ ცემა-ტყეპით რომ აყარეს გმირთა მოედნის დიდების მემორიალთან დაწყებული საპროტესტო აქციიდან.

საგანგებოდ ნერვებაშლილმა პრეზიდენტმა გულისმომკვლელი სურათი წარმოადგინა ვიდეოხიდისას: დემოკრატიის მტერი 6 ვეტერანი წამოწვა მემორიალთან (ზედ საპატიო ყარაულის ფეხებთან), ძველი, არამოქმედი სახელმწიფო დროშა გაშალეს, საცვლები გამოფინეს და მარადიული ცეცხლის გვერდით მოშარდესო.




პრეზიდენტის გამეხებული სახე გვაგუმანებდა, რომ ეს მოშარდვა ერთჯერადი ქმედება არ იყო.

ბუნებრივია, ვეტერანებმა გააპროტესტეს არსებული ვითარების პრეზიდენტისეული ხედვა, განსაკუთრებით მარადიულ ცეცხლთან შარდვის სფეროში. სამაგისო რა გვჭირდა, იქ სველი წერტილი არსებობსო, საცვლები კი რატომ უნდა გამოგვეფინა, განა ვრეცხავდით ხოლმეო. მაგრამ მათი პროტესტი პრეზიდენტის ნათქვამით შეძრული საზოგადოების აღშფოთებამ შთანთქა. ასე იკლიკანტურად უპასუხა მისმა აღმატებულებამ შეკითხვას, გმირთა მოედანზე მოშიმშილე ვეტერანების დარბევაზე რას გვეტყვიო. რაც მთავარია, უპასუხა შეურაცხყოფილი დემოკრატის სახელით.

ბატონმა მიხეილმა ამ შიდაპოლიტიკური პროცესების შემდეგ, საგარეო პოლიტიკაზეც ილაპარაკა და სახელმწიფო მასშტაბის ერთი საიდუმლო გაგვიმხილა: 2004 წელს პუტინმა ჩეჩნეთში წარმატებას იმით მიაღწია, რომ მე დავეხმარეო(?!). თუმცა მალევე ეს თავისი დახმარებით გალაღებული პუტინი რეპტილიას შეადარა, მერე და მერე ეს რეპტილია ნიანგად დააკონკრეტა, რომელიც „პირდაღებული ჩასაფრებულა ჩვენს ჩასასანსლავად".

პრეზიდენტი იმ დღეს ყურგასახარად სიტყვაუხვი და საგანგებოდ არაზუსტი იყო, აკი მოხიბლა კიდეც მსმენელი, განსაკუთრებით პარლამენტის უმრავლესობა. რაც შეეხება „დამარცხებულ ოპოზიციას", მისი აზრი, ხომ კარგა ხანია საერთოდ აღარ აინტერესებს არც პრეზიდენტს და არც ნაცმოძრაობას.

**სანდრო ალექსიძე**

## ფიქრები ტელეხიდის შემდეგ



*„ხალხის შეკითხვებს პასუხობს პრეზიდენტი“ – პროექტის გამო პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე „ინტერპრესნიუსს“ უზიარებს თავის შთაბეჭდილებებს*

# პრეზიდენტი რთულ კითხვებზე პასუხის გასაცემად მზად არ იყო

**— ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებდით ტელეხიდს? თქვენი აზრით, პრეზიდენტის ხალხთან ურთიერთობის ეს ფორმა მოქალაქეებთან დიალოგში შესვლის ილუზია იყო, თუ — დემოკრატიულობის დემონსტრირების სურვილი?**

— ალბათ — უფრო დემოკრატიულობის დემონსტრირების სურვილი. პრეზიდენტმა გადაცემის დაწყების წინ თავად აღნიშნა, რომ პირდაპირი ეთერის დროს არ იქნება წინასწარ მომზადებული კითხვები. გადაცემის მსვლელობისას ისეთი კითხვებიც დაისვა, სიმართლე გითხრათ, არც კი ველოდი. ამას არც დარბაზში გამოუწვევია რაიმე აჟიოტაჟი და არც პრეზიდენტის მხრიდან მოჰყოლია გაკვირვება. კითხვები, რომლებიც სავარაუდოდ ხალხს შეიძლებოდა დაესვა, დაისვა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ პრეზიდენტი რთულ კითხვებზე პასუხის გასაცემად მზად არ იყო, რაც მიუთითებს, რომ პრეზიდენტის გუნდს საზოგადოებაში არსებულ სავარაუდო კითხვებზე პასუხების გაცემისთვის არ უმუშავია.

**— მიუხედავად განცხადებებისა, რომ პრეზიდენტს არ დავიწყებია დაპირება პენსიის 100 დოლარამდე გაზრდის შესახებ; უმუშევრობა 2012 წელს დაიძლევა, რომ მასწავლებლებს ხელფასი გაიზრდება; ორ წელიწადში ყველა სოფელს ექნება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, პრეზიდენტმა პრაქტიკულად აღიარა, რომ იმ ტიპის ინფლაციის შეჩერებისთვის, რომელთანაც გვაქვს საქმე, საქართველოს მთავრობა ბერკეტებს არ ფლობს...**

— სწორედ მაგას მოგახსენებთ, რომ სასურველი იყო ამ კითხვაზე პასუხი ცოტა უფრო ოპტიმიზმის მომგვრელი ყოფილიყო. ოპტიმიზმის მომგვრელი არა იმიტომ, რომ რაღაცის ილუზია შეექმნა, არამედ თუნდაც იმიტომ, რომ ამ თვალსაზრისით, პრეზიდენტსაც და მთავრობასაც რეალურად სათქმელი მართლაც აქვთ. გარკვეული ნაბიჯები იდგმება ინფლაციის შესაჩერებლად, ბანკი ზრუნავს ინფლაციის მინიმუმამდე შემცირებისთვის. გუშინ დავესწარი საქართველოს ეკონომიკური განვითარების პერსპექტივაზე ახალგამოცემული წიგნის პრეზენტაციას, რომელიც ქართველმა ექსპერტებმა სანდრო თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით გამოსცეს. ამ წიგნში ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პერსპექტივებზე არის საუბარი. ქვეყანას აქვს პერსპექტივა, რომ საკუთარი რესურსებით იკვებოს. ქვეყნის რესურსების მობილიზაციის შემთხვევაში შეიძლება, შექმნა ის სურათი, რომ ხელისუფლება გზებს ეძებს. იმის გამო, რომ ასეთი სურათი პირდაპირი ეთერის დროს არ შექმნილა, დამრჩა შთაბეჭდილება, რომ საკითხი არ იყო მომზადებული.

**— დევნილებზე ემოციურად საუბრის მიუხედავად, პრეზიდენტმა პრაქტიკულად უპასუხოდ დატოვა დევნილების გამოსახლებისა და ვეტერანების აქციის დაშლის შესახებ დასმული კითხვა. რას შეიძლება ეს ნიშნავდეს?**

— შთაბეჭდილება იმისა, რომ პრეზიდენტის პირდაპირი ეთერი კარგად მომზადებელი არ იყო, სწორედ მაგ ტიპის თემატიკაზე პასუხების გამოც დარჩა. პრეზიდენტის ოპონენტებმაც აღნიშნეს, რომ მისი გამოსვლები ეუთოში, ნატოში, ევროპარლამენტში ბრწყინვალედ მომზადებული იყო. ეს გამოსვლები იმ თვალსაზრისით იყო ბრწყინვალედ აწყობილი, რომ პრეზიდენტს არც ერთ საკითხში უკან არ დაუხევია; ამავე დროს განცხადებები და ინიციატივები უაღრესად კონსტრუქციული და კორექტული იყო და მთელმა მსოფლიომ აიტაცა. არ არის აუცილებელი, იყო არაკორექტული მაშინ, როდესაც შენს პოზიციას არ თმობ. სამწუხაროდ, დევნილებთან და ვეტერანებთან დაკავშირებით პრეზიდენტის გამოთქმულ მოსაზრებებში არაკორექტულობის დიდი დოზა იყო.

**— ჩემი აზრით, ბევრი სხვა პასუხისგან განსხვავებით, თურქეთში ქართული ძეგლების აღდგენის თემაზე პრეზიდენტის პასუხი აბსოლუტურად გასაგები და მართებული იყო..**

— დიახ, აბსოლუტურად გასაგებიც და მოქალაქეობრივადაც აბსოლუტურად გამართულიც. სიმართლე გითხრათ, ამ თემაზე საუბრისას ძალიან მომეწონა, რომ ეს საკითხი მარტო ძეგლებს არ ეხებათ; ეხებათ იმ ადამიანებსაც, რომლებსაც განსხვავებული რწმენა აქვთ, მაგრამ არიან ეთნიკური ქართველები და არაქართველებიც; რომ მათი პიროვნული დაცვა საქართველოს ისეთივე ვალია, როგორც იმ ქართული ძეგლების აღდგენა, რომლებიც ახლა თურქეთის ტერიტორიაზეა. ამ თემაზე პრეზიდენტის პასუხი პოლიტიკურად და მოქალაქეობრივად მართლაც გამორჩეულად გამართული იყო.

**— როგორ შეაფასებდით ოპოზიციის მიმართ გამოთქმულ მოსაზრებებს?**

— რიგ საკითხებში პრეზიდენტი მეტისმეტად თავისუფლად მსჯელობდა და იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს ეს პრეზიდენტის ოფიციალური გამოსვლა სულაც არ იყო. ეს იგრძნობოდა იმავე დევნილებისა და ვეტერანების, ასევე, ოპოზიციის საკითხშიც. ვისურვებდი, რომ ოპოზი-



ციის სისუსტეზე თავად ოპოზიციას ესაუბრა და არა — პრეზიდენტს. პრეზიდენტის ოპოზიციისადმი დამოკიდებულება ქედმაღლობის ნიშანს ატარებს, რაც სასურველი არ არის. ხელისუფლება რაც უფრო მაღალ შეფასებას მისცემს ხოლმე ოპოზიციას, მით უკეთესად გამოიყურება.

**— ამომწურავად უპასუხა პრეზიდენტმა რუსეთის თემაზე დასმულ შეკითხვას. პასუხის არსი ასეთი იყო — რუსეთთან მოლაპარაკება რომ შესაძლებელი ყოფილიყო, ამას გააკეთებდა, მაგრამ მოსკოვთან მოლაპარაკებები პრაქტიკულად იმის გამოა შეუძლებელი, რომ რუსეთი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში უკან დახევას არ აპირებს. მან პუტინი შაჰ-აბასსაც შეადარა, ვითარებიდან გამოსვლის გზად კი მოთმინება, სტაბილურობა და სწრაფი განვითარება დაასახელა. თქვენ როგორ შეაფასებდით რუსეთთან დაკავშირებით პრეზიდენტის განცხადებებს?**

— პოზიციის თვალსაზრისით სადავო არაფერია. ნებისმიერი პოლიტიკოსი გაიზიარებს აზრს იმის შესახებ, რომ რუსეთთან ნებისმიერი მოლაპარაკება უაზრობაა, თუ მოლაპარაკების მაგიდის უკან ძალა არ დგას. უკვე ვისაუბრე, რომ პრეზიდენტის საერთაშორისო ტრიბუნაზე გამოსვლა კორექტულობით გამოირჩეოდა. ევროპულ ტრიბუნებზე გამოსვლისას პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მზად არის რუსეთთან მოსალაპარაკებლად. სხვა თემაა, რამდენად სჯერა მას რუსეთთან მოლაპარაკების პერსპექტიულობის, მაგრამ თუ მისი წინადადება ძალაში რჩება, მაშინ მის მიერ რუსეთის ნიანგთან შედარება უადგილო იყო. რუსეთთან მიმართებაში რაც უფრო შემცირდება პრეზიდენტის მსჯელობაში ასეთი არასერიოზული ლექსიკა, ალბათ მით უფრო უკეთესი იქნება.

საერთაშორისო აუდიტორიასაც რომ თავი დავანებოთ, ქართულ აუდიტორიაშიც საკმაოდ კრიტიკული დამოკიდებულება გაჩნდა მაშინ, როცა პუტინთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ეპითეტი „ლილიპუტინი“ გამოიყენა. ამ გამონათქვამს ახლა „ნიანგიც“ დაემატა. ჩემი აზრით, პრეზიდენტის ლექსიკაში ამგვარი გამონათქვამები პირდაპირი ეთერის მოუმზადებლობისა და შეფასებების ემოციურად, უცებ გაჩენილი სიტყვებით შევსების ბრალია. პრეზიდენტის გუნდს რომ ამ ინტერვიუზე ცოტა უკეთ ემუშავა, პრეზიდენტის პირდაპირი ეთერი ემოციური მომენტებისგან თავისუფალი იქნებოდა.

**— ამერიკის თემაზე პასუხმა გარკვეული უკმარისობის გრძნობა დატოვა. დარჩა შთაბეჭდილება, რომ პრეზიდენტმა პროფესორისა და ამერიკანისტის ვასილ კაჭარავას კითხვა აშშ-საქართველოს ურთიერთობების პერსპექტივებზე უპასუხოდ დატოვა. რას შეიძლება ნიშნავდეს ამერიკის თემისადმი პრეზიდენტის ამგვარი დამოკიდებულება?**

— ქართული დელეგაცია ამერიკიდან ჩამოსვლის შემდეგ ობამა-სააკაშვილის შეხვედრის შინაარსზე არ საუბრობდა, რაც, ჩემი აზრით, მიუთითებდა, რომ ამ თემაზე დასმულ კითხვაზე პრეზიდენტი სრულ პასუხს არ გასცემდა. შეხვედრის შესახებ ხელისუფლების სიჩუმემ გააჩინა ეჭვები, თითქოს ობამამ სააკაშვილს მიუთითა, რომ ხელისუფლებაში არანაირი სახით არ უნდა დარჩეს. არა მგონია, ამერიკაში ობამა-სააკაშვილის შეხვედრაზე რაიმე სერიოზული თქმულიყო გარდა იმისა, რაც პროტოკოლურად ვიცით — ანუ ამერიკა მხარს უჭერს საქართველოს და მადლობელია საქართველოს ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობით.

ჩემი აზრით, სააკაშვილთან შეხვედრასთან დაკავშირებით თავად ობამას ამოცანა იყო, როგორც თავისი ოპონენტი „რესპუბლიკელების“, ისე რუსეთისა და მსოფლიოსთვის შეხვედრის ფაქტისა და საქართველოს მხარდაჭერის დაფიქსირება. ამდენად, ტექსტის თვალსაზრისით ამ შეხვედრაზე შესაძლოა, სხვა არც არაფერი ყოფილიყო.

**— პირდაპირი ეთერის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებმა გამოთქვეს პრეზიდენტთან ჟურნალისტების რეგულარულად შეხვედრის ტრადიციად ქცევის სურვილი. პრეზიდენტი შევარდნაძე ორ კვირაში ერთხელ ჟურნალისტებს ხვდებოდა. თქვენი აზრით, თავის დროზე რატომ თქვა უარი პრეზიდენტმა სააკაშვილმა, ტრადიციად ექცია ჟურნალისტებთან თუნდაც ორ კვირაში ერთხელ შეხვედრა?**

— ჟურნალისტებთან შეხვედრა არც ისე იოლი რამ გახლავთ. პირდაპირი ეთერის უზარმაზარ მასივშიც ჟურნალისტების კითხვები სირთულით გამოირჩეოდა. როდესაც ქვეყნის წინაშე სირთულეებია და მათ დიდ ნაწილზე პასუხისმგებლობა პრეზიდენტს ეკისრება, უნდა ვივარაუდოთ, რომ პრეზიდენტს ჟურნალისტებთან შეხვედრა იმის გამო არ ეხალისება, რომ პასუხის მოთხოვნა ჟურნალისტებს უფრო ეხერხებათ. უფრო ადვილია საზოგადოების ფართო ფენებთან დიალოგი, რადგანაც მოქალაქეები, როგორც წესი, თავიანთ კონკრეტულ პრობლემებს აყენებენ. ჟურნალისტებმა განზოგადოება იციან ხოლმე და პრობლემის პრინციპულ პლანში განხილვა დისკომფორტს ქმნის.

სხვათა შორის, შევარდნაძეც დიდ დისკომფორტში იყო, როცა ჟურნალისტებს ხვდებოდა. შევარდნაძის მმართველობის დროს ჟურნალისტებთან რეგულარულად შეხვედრის იდეა მოგვიანებით გაჩნდა. შევარდნაძე ჟურნალისტებთან შეხვედრებს დიდი კმაყოფილებით არა, მაგრამ მაინც იტანდა. აქ უკვე გამოცდილება თამაშობს როლს. მან იცოდა, რომ ჟურნალისტების კითხვები უნდა აეტანა.

**კობა ბენდელიანი**

## ოპტიმიზი პრეზიდენტისებურად

# ტურიზმი ლუმინალია(?!)

(მესამე გვერდიდან)

მიხეილ სააკაშვილის ეთერი, ცხადია, ურუსეთოდ ვერ ჩაივლიდა. ქართულმა საზოგადოებამ და, ალბათ, მსოფლიომაც, გუშინწინ გაიგო, რომ პუტინი ურჩ ჩრდილოკავკასიელებს „ტარაკნებივით გაჭყლეტას“ უპირებდა. ეს კი ვლადიმერ ვლადიმეროვიჩს, არც მეტი არც ნაკლები, პირადად მიხეილ სააკაშვილისთვის უთქვამს. აქედან გამომდინარე, უცნაური აღარ არის პრეზიდენტის შედარება, რომელიც ჩრდილოელი მეზობლის დასახასიათებლად მოიშველია. მიხეილ სააკაშვილმა ყველა იმ ადამიანის გასაგონად, ვინც რუსეთთან მოლაპარაკებების აუცილებლობაზე საუბრობს, განაცხადა, რომ **„მოლაპარაკება შეუძლებელია ისეთ პოლიტიკურ მენტალიტეტთან, რომელიც რეპტილიის დონეზეა“ და პუტინზე „თბილისოს“ და „სულიკოს“ სიმღერა „იავნანამ რა ჰქმნას“ ეფექტს ვერ მოახდენს“.**

მართალია, ძალიან მცირე, მაგრამ ოპოზიციაზე საუბარს პრეზიდენტმა დრო მაინც დაუთმო და საგულისხმო შეფასებაც გააკეთა: **„ორი-სამი წლის წინ ჩვენ გვყავდა ძალიან ძლიერი ოპოზიცია, მაგრამ ეს იყო ოპოზიცია, რომელიც, ძირითადად, ქვეყნისთვის ძირის გამოთხრით იყო დაკავებული. ამის გათვალისწინებით, მე მირჩევნია დღევანდელი სიტუაცია — როცა ოპოზიცია დასუსტდა“.**

აქვე, მიხეილ სააკაშვილმა კითხვას, საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ გახდება თუ არა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, პირდაპირ არ უპასუხა და **განაცხადა, საპრეზიდენტო ვადის დასრულებამდე მომეცით საშუალება, საქართველო სწორ გზაზე დავაყენოო.**

ქვეყნის სწორ გზაზე დასაყენებლად კი, მიხეილ სააკაშვილი, რა თქმა უნდა, იმ აღებულ კურსს გააგრძელებს, რომელიც ქვეყნის სინგაპურიზაციას და ჩინეთიდან — დასავლეთ ევროპამდე ყველაზე მაგარი ქვეყნის შენებას გულისხმობს. ამ დანაპირების, ისევე როგორც ყველა წინასაარჩევნო დანაპირების შესრულებას, რომელიც პრეზიდენტს, მისივე თქმით, არ დავიწყებია, ისევ და ისევ ტურიზმის განვითარებით აპირებს.

ტურიზმის განვითარებისთვის კი საქართველოს ყველა პირობა აქვს. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მაღალი ხარისხის თოვლი. **„საქართველოში არის ძალიან მაღალი ხარისხის თოვლი, ისეთი, როგორიც შეიძლება იყოს ამერიკაში ან ერთგან ევროპაში“.**

ზუსტად ამ ფრაზით არა, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტმა თავისი გამოსვლა სწორედ ამგვარი ოპტიმისტური განწყობით დაასრულა. სავარაუდოდ, მისი პრეზიდენტობის ვადის ამოწურვამდე, კიდევ ერთ ასეთ ეთერს აუცილებლად ვიხილავთ. მანამდე კი გვეცოდინება, რომ ტურიზმი ყველა ტკივილის უებარი წამალია.

**მარი ნაკაშიძე**
**ინტერპრესი**

# წიგნის კაცი


„იავნანას" დამფუძნებლები და მეგობრები: პაატა ბურჭულაძე, გურამ ახალაია, ნანი ბრეგვაძე და ბუბა კიკაბიძე

წიგნების ცნობილ ქომაგსა და კოლექციონერს, ფონდ „იავნანას" აღმასრულებელ დირექტორს **გურამ ახალაიას** 28 იანვარს 60 წელი უსრულდება. პაატა ბურჭულაძე, საერთაშორისო ფონდი „იავნანა" და მისი მეგობრები სულითა და გულით ვულოცავთ მას ამ საიუბილეო თარიღს, ვუსურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულსა და უფლის წყალობას ყველა იმ სასიკეთო და ეროვნულ საქმეში, რომელსაც ემსახურებოდა და დღემდე ერთგულად უდგას სათავეში.

## ახალგაზრდა იუბილარს, ბატონ გურამ ახალაიას

**საამაყო მამულიშვილო, გატონო გურამ,**
**ორმოცი წლის „გეპეელ" მეგობრებს გვაქვს პატივი, სახალხოდ მოგილოცოთ 60 წლის იუბილე და სიცოცხლის მეორე ნახევრის ბრძნული ცხოვრების დასაწყისი.**



თქვენი ცხოვრება და მოღვაწეობა ისეთი სისხლსავსეა, მარტო ერთს კი არა, ას კაცსაც ეყოფა. ისეთი სახელი, სიყვარული და აღიარება დაიმსახურეთ, რომ ასობით წლის მანძილზე შუქურასავით წარუძღვება თქვენს დიდ გვარს და ოჯახს, თქვენი სახელისა და ცხოვრების გამგრძელებლებს.

**თქვენ ბრძანდებით კაცურკაცობის, მეგობრობის ეტალონი, ნიჭიერებით გამორჩეული პიროვნება, სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარული, ადამიანებისადმი უშურველი სითბოთი განწყობილი, ღირსებით, პატიოსნებით, სიკეთით სავსე, ყურადღებიანი, ყველას დამხმარე და მხარში მდგომი, უღალატო, ჭირსა და ლხინში საიმედო კაცი.**

თქვენ ბრძანდებით 70-იანი წლების ახალგაზრდობის გამორჩეული ლიდერთაგანი, წარმატებული სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. მაღალი დონის თანამდებობებზე გამოვლენილმა პასუხისმგებლობის უმაღლესმა შეგრძნებამ, შრომისმოყვარეობამ, უზადო პროფესიონალიზმმა, საოცარმა უბრალოებამ და ქრისტიანულმა მიმტევებლობამ სიყვარული და ავტორიტეტი შეგძინათ.

თქვენ ბრძანდებით მსოფლიოში აღიარებული პაატა ბურჭულაძის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის „იავნანას" ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი, უსახლკაროდ დარჩენილი მრავალშვილიანი ოჯახების, მზრუნველობამოკლებული პატარების და... სამკვიდრო ადგილის დედის – განმუხურის მიერ მრავალგზის დალოცვილი, უნიკალური მინიატიურული წიგნების კოლექციონერი, მეცნიერი და ბიბლიოფილი.

თქვენ ბრძანდებით ქართული ვაჟკაცური თვისებების მატარებელი ადამიანი, სამაგალითო მეუღლე, საამაყო მამა, საიმედო და ერთგული მეგობარი.

ღმერთმა დაგლოცოთ, გაგახაროთ და გაგაძლიეროთ.

**თემურ ხარებავა,**
**გოდერძი ბუკია,**
**ლეილა გრძელიძე,**
**ზურაბ ერქვანია,**
**მანანა კეკელიძე,**
**თემურ კვარაცხელია,**
**გია მახარაძე,**
**მარინა მიქაძე,**
**ბიძინა სონღულაშვილი**

# წმინდა კაცების მსგავსად

**გურამ ახალაიასთანა კაცებს, ვისაც კი ცხოვრების ისეთი წესით უცხოვრია, რა წესითა და რიგითაც ქვეყნისა და ხალხის წინაშე, თავისი არცთუ იოლი დროის წინაშე ჩვენმა იუბილარმა, ახლა უკვე ორჯერ ოცდაათი წლის გურამ ახალაიამ იცხოვრა, ჩვენი წინაპრები ძველად, როცა ადამიანობისა და სინდის-ნამუსის ფასი უცილოდ სხვა მაღალი ხარისხით ესმოდათ, სხვათათვის სამაგალითო წმინდა კაცებად სახავდნენ.**

გურამ ახალაიას სახელი განუყოფელია კაცურკაცობისაგან, მოწყალე გულისაგან, უტყუარი პატიოსნებისაგან და, რაც მთავარია, წიგნისაგან, უპირველეს ყოვლისა კი, ქართული წიგნისაგან. ის ჭეშმარიტად წიგნის კაცია, რომელიც პრინციპულად არ ღალატობს ნაბეჭდ წიგნს კომპიუტერისა და ინტერნეტის ხანაშიც...

წიგნი გურამ ახალაიასთვის, ამ ბუნებით უანგარო ქველმოქმედისთვის, როგორც ყველა დროის განმანათლებლისთვის, ნაბეჭდი წიგნი ყოველთვის იყო, არის და დარჩება საზოგადოების მთავარ გზის მაჩვენებელ შუქურად.

დღეს გურამს თავისი მეგობრები, ჩვენთან ერთად, კაცური სიყვარულითა და ალალი მადლიერების გრძნობით ულოცავენ დაბადების მე-60 წლისთავს. მან მართლაც ღირსეულად გამოიარა მეოცე საუკუნის მთელი მეორე ნახევარი, იმედია, ოცდამეერთესაც კიდევ ერთ ამდენს „ჩამოატეხს", რასაკვირველია, დაბერდება, ტკბილად დაბერდება, მაგრამ, ალბათ, არასოდეს არ დაძველდება და მუდამ ახალ გურამ ახალაიად დარჩება. გვარის ფუძედაც ახალი აკი სწორედ ამიტომ დაბედებია!..

დღეს უკვე 94 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" მრავალრიცხოვან მკითხველთა და თანამშრომელთა სახელით 60 წლის ძვირფას მეგობარს მიესალმებიან

**მარინა კანდელაკი, ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, თენგიზ კალანდაძე, ვილენ მარდალეიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქოზულია**

◉ სასაქონლო ბირჟა

# ბაზრის მონოპოლისტთა პარპაშის დასასრულის იმედით

## რას მოგვიტანს თბილისის სასაქონლო ბირჟის ამოქმედება?

**უახლოეს მომავალში მსოფლიოს საერთაშორისო სასაქონლო ბირჟებს კიდევ ერთი, თბილისის ბირჟაც შეემატება, რომელიც საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივით იქმნება და ბინას სავაჭრო ცენტრ „გლდანი-1"-ში დაიდებს. საერთაშორისო სასაქონლო ბირჟის ამოქმედება თბილისში, რაც ივლისისთვისაა დაგეგმილი, იდეის ავტორთა აზრით, ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის წინსვლას, თანამედროვე საბითუმო ბაზრის შექმნას, ფასწარმოქმნის მექანიზმის სრულყოფასა და, შესაბამისად, კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებას.**

აღსანიშნავია ისიც, რომ არაერთი ბიზნესმენისა და ეკონომიკის ექსპერტის აზრით, თბილისის საერთაშორისო სასაქონლო ბირჟის ამოქმედება შიდა ბაზარზე სრული მასშტაბით მაინც ვერ მოაწესრიგებს ფასებს, ვინაიდან მონოპოლისტ კომპანიებს იგი მაინცდამაინც სერიოზულ „საფრთხეს" ვერ შეუქმნის, მით უმეტეს იმ პირობებში, როცა ქვეყანაში, ფაქტობრივად, არც ანტიმონოპოლიური კანონმდებლობა მოქმედებს და ნორმალურად ერთი უწყებაც კი არ არსებობს, ვინც მის შემუშავებაზე ზრუნავდეს.

სიტყვამ მოიტანა და, იმასაც ვიტყვით, რომ, მართალია, შარშან, ევროკავშირის მოთხოვნის საფუძველზე, თითქოს შეიქმნა რაღაც გაურკვეველი ანტიმონოპოლიური სტრუქტურა და, არსებული ინფორმაციით, მუშაობა მიმდინარეობს ლიბერალური შრომითი კანონმდებლობის ევროკანონებთან ჰარმონიზაციის მხრივაც, მაგრამ ევროპელ ექსპერტთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, **საქართველოში გატარებული არაერთი ლიბერალური რეფორმა ევროკავშირის მიდგომებს არ შეესაბამება. ამასთან, მეტად საგულისხმოა ქართველ ექსპერტთა ერთი ნაწილის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ევრობიუროკრატები საქართველოს ეკონომიკური განვითარების შეფერხებისკენ „ექაჩებიან". არგუმენტები ასეთია: საქართველოს სჭირდება წლიური ეკონომიკური განვითარების 10-20-პროცენტიანი ტემპი, რასაც, თავის მხრივ, ულტრალიბერალური რეფორმები ესაჭიროება და ამ ჭრილში „უდიდეს იძულებით შეცდომას" უწოდებენ თავისუფალი ბაზრის ანტიმონოპოლიურ რეგულირებას, რადგან ამას ევროკავშირთან დაახლოების პროცესთან არავითარი კავშირი არა აქვს.**



თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ გაცილებით სხვა შეხედულებისაა თბილისში საერთაშორისო სასაქონლო ბირჟასთან დაკავშირებით სპეციალისტთა სხვა, არანაკლებ მრავალრიცხოვანი ჯგუფი, რომელიც დიდ იმედებს ამყარებს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაში მის სამომავლო როლზე, ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს ჩამოყალიბებაზე, რა ფუნქციებსაც ამ ტიპის ბირჟები სხვა ქვეყნებში წარმატებით ასრულებენ. ამასთან, გასათვალისწინებელია ის მომენტიც, რომ **თბილისის სასაქონლო ბირჟა საერთაშორისო ანუ რეგიონული იქნება, რომლის „მოთამაშეებად" ასევე მეზობელი აზერბაიჯანი, სომხეთი, ირანი და თურქეთი მოიაზრებიან. აღნიშნავენ იმასაც, რომ თბილისის საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე მონოპოლისტები ისე ველარ „იჯღჯილებენ", როგორც ეს, მაგალითად, საქართველოს შაქრის ბაზარზე აზერბაიჯანულმა კომპანიამ ქნა მას შემდეგ, რაც აგარის შაქრის ქარხანას დაეპატრონა და შაქარი თითქმის სამჯერ გააძვირა!** მას უკვე ჰყავს რეალური, დაბალფასიანი პროდუქციის შემომტანი კონკურენტები და, ექსპერტები თუ არ ცდებიან, სასიკეთო ძვრები ფასების დაწევის მხრივ, თბილისის მოსახლეობამ ზაფხულიდანვე უნდა იგრძნოს. მაგალითისთვის კიდევ ზოგიერთი წამლის ფასის შედარება შეიძლება; რა ღირს ეს პრეპარატი, ვთქვათ, სხვა ქვეყნის საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე და რა ფასი ადევს მას ჩვენი მსხვილი ფარმაცევტული კომპანიების აფთიაქებში? წამლების დასახელებისგან ამჯერად თავს შევიკავებთ, მაგრამ დანამდვილებით შეგვიძლია გითხრათ, რომ **ზოგიერთი ის წამალი, რომელიც, ვთქვათ, აღმოსავლეთ ევროპის ფარმაცევტულ ბირჟაზე 2,5-3 ევრო ღირს, ვთქვათ, ასე გაპიარებული ზოგიერთი ჩვენებური ფარმაცევტული კომპანიის აფთიაქებში 14-15 ევროს ეკვივალენტად იყიდება.** ეს, პირველ ყოვლისა, უკონკურენციო ვაჭრობით და ბაზარზე ამ ფირმების მონოპოლისტური მდგომარეობითაა განპირობებული.

გარდა შაქრისა და წამლებისა, თბილისის საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე გაიყიდება ყველაფერი ის, რასაც „საქონელი" ჰქვია. ეს იქნება საწვავი თუ საპოხი მასალები, ქიმიური ნაწარმი, საშენი მასალები, საერთოდ, ყველაფერი.

და კიდევ ერთი რამ. ბირჟაზე ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა ბროკერი, რომელთა რიცხოვნობა და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, პროფესიული მომზადების დონე, ჩვენში აშკარად არადამაკმაყოფილებელია. ამიტომ **ბროკერებს სადღეისოდ როგორც თავად სასაქონლო ბირჟის, ასევე სავაჭრო-სამრეწველო პალატის ცენტრებში უფასოდ ამზადებენ, 70-ლარიანი ტესტების გავლის შემდგომ კი ისინი სათანადო სერტიფიკატს მიიღებენ.**

**დალი ხუნდაძე**

№ 17. პარასკევი, 28 იანვარი, 2011 წელი.

პოზიცია

# საჭიროც არის და აუცილებელიც, მაგრამ დაუშვებელი...

**ახლახან „საერთო გაზეთმა“ საზოგადოების ყურადღება მიაპყრო მეტად მტკივნეულ საკითხს, რომლითაც სურდა, გაერკვია, როგორია მკითხველთა დამოკიდებულება ზოგადად ეგრეთ წოდებული პოლიტიკოსების და პოლიტიკური პარტიებისადმი.**

— დღეს რომ არჩევანი ჩატარდეს, პრეზიდენტის პოსტზე ვის კანდიდატურას დაუჭერდით მხარს? — სვამდა კითხვას გაზეთი.

გაზეთის რუბრიკას — „ხალხის აზრით“ — პირველი ცნობილი პიროვნება ანზორ ბაბუხადია გამოეხმაურა, რომელმაც თავის ინტერვიუში მოიშველია ცნობილი ჟურნალისტის თემურ ქორიძის სიტყვები: **„პოლიტიკოსები, ძირითადად, უპირველესად ან ხელმოცარული ადამიანები აღმოჩნდებიან, რა თქმა უნდა, არის გამონაკლისებიც... პოლიტიკოსები ქვეშეცნეულად საშუალო ან უფრო დაბალი გონებრივი შესაძლებლობების ადამიანები არიან (თუმცა ამაში საკუთარ თავსაც არ უტყდებიან!), სამაგიეროდ მათ ხელშია ძალაუფლება, რითაც საკუთარი ნაკლის გადაფარვას, უფრო ხშირად კი ამ ნაკლის ღირსებად წარმოჩენას ცდილობენ — მოჩვენებითი სიდარბაისლით, აგრესიულობით შეუფერებელი ლაყბობით, ან სულაც „ბრძნული მდუმარებით“.**



რომ იტყვიან, ორივე ხელით ვაწერ ხელს. და აი რატომ.

ჯერ კიდევ ეროვნული მოძრაობის წლებში დიდი ზვიად გამსახურდიას, კოსტავას და სხვა მრავალი მამულიშვილის გვერდით ათობით კი არა, ასობით ულირსი ადამიანი ამოყელყელავდა, და ეროვნულ ხელისუფლებაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე აღმოჩნდნენ უვიცი, არაპროფესიონალი, რბილად ნათქვამია, საქმისთვის აბსოლუტურად შეუფერებელნი. ისინი ინიშნებოდნენ, ერთობ პასუხსაგებ ხელმძღვანელ თანამდებობებზე და წარმოდგენა არ ჰქონდათ, რა უნდა ეკეთებინათ. მათს გვარებს არ დავასახელებ, რადგან ბევრი მათგანი უკვე წასულია ამ წუთისოფლიდან.

ერთი საგულისხმო მაგალითსღა გავიხსენებ. მაშინ პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა რუსთავში ჩამოვიდა და მთელი დღე მეტალურგიულ ქარხანაში დაჰყო. იგი, თვითონაც მეტალურგი, დაინტერესდა კოლექტივის პრობლემებით. აი, ქალაქის პრეფექტი კი არ გამოჩნდა. არადა, თანამდებობრივად ვალდებული იყო, ხლებოდა პრემიერს. ამან შემაწუხა და, რა ხდება-მეთქი, ვკითხე პრემიერს.

მისი პასუხი: **დღეს შეიძლება ცარიელი სკამიც კი დასვა ხელმძღვანელ ადგილას, ოღონდაც კომუნისტების მმართველობის სისტემა, მენტალიტეტი დაინგრესო.**

დაინგრა კიდეც და... ქვეყანაც გადაჰყვა! პარადოქსი! სხვა რა შეიძლება უწოდო, როდესაც საპარლამენტო არჩევნებში რუსთაველთა სათაყვანო კაცის ჟიული შარტავას მაგივრად ვინმე უმეცარმა ქაცარავამ „გაიმარჯვა“... მე კარგად ვიცნობდი ბევრ მაშინდელ პარლამენტარს, ხელმძღვანელს, რომლებსაც, როგორც ქართველი გლეხი იტყვის, ორ ბატსაც ვერ მივაბარებდი.

ეს იყო ეროვნული ხელისუფლების ჟამს. აი, რაც მერე მოხდა, მოქალაქეთა კავშირად წოდებული პარტიის, არადა, ცეკას მდივნობაში ჭიპმოჭრილი შევარდნაძის ზეობის წლებში, იმის აღწერა შეუძლებელია.

ოღონდ შევარდნაძე წავიდესო და...

**აი, უდიდესი შეცდომა: მოვიყვანეთ სააკაშვილი — მოქკავშირ-ნაციონალების გოგლიმოგლი!**

შედეგი — ქართველი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი სასწორზე დევს კი არა, ეს საკითხი ლამის გადაწყვეტილია და უფსკრულში ვართ.

არადა, იგი თურმე ერთ-ერთი ყველაზე „დემოკრატი პრეზიდენტი და ყველაზე წარმატებული ქვეყნის მეთაურია, როგორც ეს სომხეთში სააკაშვილის ვიზიტისას თქვა სომხეთის პრეზიდენტმა (რაში ენაღვლება საქართველო!ძ...

**ერთი სიტყვით, პრობლემა, რომელიც „საერთოდ გაზეთმა“ წამოჭრა, საჭიროა და საჭიროზეც მეტია, მაგრამ საკითხის ასე დასმა, ჩემი აზრით, დაუშვებელი, რადგან ეს დასმენა უფრო იქნება.**

ჯერ ერთი, როგორც ბატონი ბაბუხადია აცხადებს, **„პირველი სიტყვის თქმის უფლება, ანუ ამ პოსტზე** (პრეზიდენტის — **გ. ჯ.**ძ **რამდენიმე კანდიდატის დასახელება ქვეყანაში უნდა მიენდოს ერის სულიერ მამას, მის უწმინდესობასა და უნეტარესობას ილია II-ს“...**

ძალიან ბევრს ხომ არ მოვითხოვთ? ერის სულიერი მამა ისედაც შეჭირვებულია ქვეყნის ბედით.

**მეორეც, და, რაც მთავარია, დღეს რომ საქვეყნოდ წარმოაჩინო ის კაცი, რომელიც ჭეშმარიტად ღირსია სახელმწიფოს გაძღოლისა, როგორ ფიქრობთ, სააკაშვილ-მერაბიშვილის ტანდემი არ ამოძირკვავს მას ძირფესვიანად?!**

საქართველოში, საბედნიეროდ, ღირსეულებს რა გამოლევს!

ასე რომ, ნუ ავჩქარდებით, სხვა რომ არა, პირველ რიგში ერის მედროშემ ჯერ თავად უნდა წარმოაჩინოს თავი.

**ხალხიც მას გაჰყვება. ერს კი გამორჩეული წინამძღოლი რომ სჭირდება, ეს დღესავით ნათელია. მე ასე მგონია.**

**გივი ჯახუა**

ინფორმაცია

## თურქეთი სომხური ატომური ელექტროსადგურით შეშფოთებულია



**თურქეთი სომხეთში მდებარე ატომური ელექტროსადგურის გამო შეშფოთებას გამოთქვამს. ამის შესახებ თურქული მედია იუწყება.**

**როგორც თურქეთში არსებული მედიასაშუალებები წერენ, სომხეთის საზღვართან მდებარე თურქეთის პროვინციები და ამ პროვინციების მოსახლეობა შეშინებულია, „მეცამორის“ ელექტროსადგურში შესაძლო რადიაციის დონის გაზრდისთვისა და აფეთქებისთვის. ამ რეგიონებში პეტიციაც კი დამზადდა მოთხოვნით, რომ შეწყდეს ატომური ელექტროსადგურის მუშაობა. მოსახლეობა საზღვართან არსებულ პროვინციებში გახშირებულ კიბოს შემთხვევებს აღნიშნულ ელექტროსადგურს უკავშირებს.**

**სომხეთის მთავრობა აღნიშნულ ბრალდებებს უარყოფს და აცხადებს, რომ აღნიშნულ ატომურ ელექტროსადგურზე რადიაციის დონე ნორმის ფარგლებშია.**

**„მეცამორის“ ელექტროსადგური 1980 წელს ამოქმედდა. 1989 წელს სპიტაკის მიწისძვრის გამო მისი მუშაობა შეჩერდა, ხოლო 1995 წელს კვლავ აღსდგა.**

ჯი-ეიჩ-ენი

გასაჭირი

**ეს ინფლაციაა თუ რაღაც „ინფლიაცია“ (მიხეილ სააკაშვილმა მას დიდი პატივისცემისა თუ საზოგადოების წინაშე განსაკუთრებული დამსახურების გამო ასე შეარქვა) ნამეტანი თახსირი ვინმე როა, ადრევე ვიცოდი, მაგრამ თუ იმდენად გაკადნიერდებოდა, რომ ქვეყნის საზრუნავზე ძილგამკრთალ პრეზიდენტს შიგადაშიგ წათვლემის საშუალებასაც არ მისცემდა, ამას კი ველარ წარმოვიდგენდი. თუმცა ჩემი ფანტაზიის სიღარიბემ და ვიწრო მასშტაბურობამ არა მგონია რაიმე შეღავათი მისცეს ბატონი მიხეილის მოუსვენრობის განქარვებას, იმ მოუსვენრობისა, რაც მას „ინფლიაციის“ ყოვლად უგუნურმა და უკეთურმა საქციელმა დამართა.**

# „ინფლიაციამ“ პრეზიდენტს მოსვენება დაუკარგა!

— გჯერათ, ხალხო? — განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა, როცა მათ მიერ დასმულ ათასობით საჭირბოროტო კითხვაზე პასუხებს იძლეოდა, — მთელი ღამეები არ მძინავს, ერთთავად იმის ფიქრში ვარ, დილით რომ გავალ მაღაზიებში პურზე, შაქარზე, ზეთსა და პირველადი მოხმარების სხვა პროდუქტებზე ფასები მომატებული არ დამხვდესო. ამის კითხვა ალბათ არც იყო საჭირო, რადგან პრეზიდენტს, როცა ამას ამბობდა, თვალები ისე ჰქონდა მოწყლიანებული, გულის ნაცვლად მკერდში ქვა უნდა გდებოდა, რომ ცრემლი შეგეკავებინა.

ეს ყველაფერი — პროდუქტებზე ფასების ყოველდღიური თუ ყოველსაათობრივი მატება, რაც ამ ვერაგმა ინფლაციამ ქვეყანას მოუტანა, ადგილობრივი ხელისუფლების ბრალი რომ იყოს, პრეზიდენტი სააკაშვილი შექმნილ საგანგებო სიტუაციას თავს იოლად გაართმევდა, მთავრობას უტვინო და უგერგილო მუშაობისთვის თუ არ გადააყენებდა, კაი მაგარ ალიყურს მაინც უთავაზებდა, მაგრამ თუ „ინფლიაციის“ მიზეზი შორეული გოლიათი ჩინეთიდან მოდის, ისეთი პატარა, უმწეო ქვეყნის პრეზიდენტმა, როგორიც სააკაშვილია, მილიარდნახევარი ჩინელების გაძლიერებულ მადას, ჯამბაზიც რომ იყოს (ბევრს ჰგონია კიდეცძ, რა უნდა მოუხერხოს? ამიტომაც პრეზიდენტი იძულებულია მხოლოდ ფაქტის აღიარებით, ანუ კონსტანტაციით დაკმაყოფილდეს.

არადა, ჩვენში რომ ვთქვათ, მეტი რა გამოსავალი აქვს? მართალია მიხეილ სააკაშვილი მთელ მსოფლიოში გამორჩეული ლიდერი და შუქურა-დემოკრატია (ამის თაობაზე თავად ამერიკელმა დემოკრატებმა არაერთგზის განაცხადეს, ამ ორი კვირის წინათაც კიძ, მაგრამ სწორედ ეს რჩეული ლიდერობა და დემოკრატობა არ აძლევს უფლებას მას ჩინელები, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინათ თურმე შიმშილობდნენ, დიეტაზე დასვას და ავტომობილებიდან კვლავ ველოსიპედებზე გადასხას. არადა, როგორც სააკაშვილი განმარტავს, ჩინელების მოულოდნელმა გაძლომამ და ქვეყნის ავტომობილიზაციამ (გამაძღარ ადამიანს სიარული უჭირს და მანქანით გადაადგილებას ამჯობინებსძ მთელ მსოფლიოს და მათ შორის პატარა საქართველოსაც გადაუჭრელი პრობლემები შეუქმნა — უზომოდ გაძვირდა საწვავი და კვების პროდუქტები, რამაც ინფლაციას ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა. ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებით, ინფლაციამ საქართველოში 13,5-პროცენტიან ზღვარს მიაღწია, თუმცა რეალურად კიდევ უფრო მეტს — 20 პროცენტს ვარაუდობენ.

ეს ჩვენი სტრატეგიული ბიზნეს-პარტნიორი ამერიკაც რომ ვერაფერში (ინფლაციის სფეროს ვგულისხმობძ გვეხმარება? მიხეილ სააკაშვილს, რა თქმა უნდა, შეეძლო, ბარაქ ობამასთან შეხვედრის დროს, სიტყვა ამ საკითხზეც ჩამოეგდო, მაგრამ რას მიაღწევდა? ვერაფერს. ამერიკას, რომელიც ჩინეთთან კონკურენტულ ჭიდილშია ჩაბმული, თავად უჭირს გლობალურ კრიზისსა და ინფლაციასთან გამკლავება და ჩინეთს ამ უკანასკნელთან ორთაბრძოლაში უკან რა ნამუსით დაახევინებს? უკანდახეული ჩინეთი ხომ ჯერ არავის უნახავს.

რუსეთი? მისი გახსენება ხომ საერთოდ ნერვებს უწეწავს ჩვენს ზომიერ და უკიდურესად გაწონასწორებულ პრეზიდენტს. რა იცი, რუსეთი ისეთი თავქერქეტა აგრესორი ვინმეა, შესაძლოა, შარშან პურის ყანებს ხანძარი განგებაც გაუჩინა, რომ მსოფლიოში ხორბლის ფასი აეწია და ოკუპირებული საქართველო საშიმშილოდ გაეწირა(!ძ. ვერ მივართვით, საქართველო არის და იქნება ეკონომიკურად და სოციალურად წარმატებული ქვეყანა, რომელსაც გლობალური კრიზისი და ინფლაცია დასახული კურსიდან ვერ გადაახვევინებს — გვამხნევებს სააკაშვილი.

რაც მთავარია, ხელისუფლებას არ სძინავს, ის განუხრელად ახორციელებს მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, რაც საბოლოო ჯამში ინფლაციას ქვეყანაში ჯირითის შანსებს შეუმცირებს და თუ საჭირო გახდა, ცხვირსაც ამოარტყმევინებს. ერთი ეგ არის, ეროვნული ბანკის მეთაური გიორგი ქადაგიძე მაინც და მაინც დიდ გარანტიებს ვერ იძლევა, ამბობს, ინფლაციის 90 პროცენტი გარე ფაქტორებით არის გამოწვეული და მარტო მე ვერაფერს გავხდებიო.

მარტო რატომ, კაცო, ხელისუფლება აგერ არ არის? ერთი ამ ზამთარს არ ეღალატნა, გუდაურში, ბაკურიანსა და მესტიაში თოვლი მოსულიყო და ყველა დაინახავდა, ეკონომიკა რა „მაყუთსაც“ დაირტყამდა. ტყუილად ფიქრობენ მავანნი და მავანნი, შინაური თუ გარეული ოპონენტები, რომ ქვეყნის ეკონომიკის ტურიზმზე ჩამოკიდება მცდარია და სარგებელს ვერასოდეს მოუტანს. როცა ამას ამბობენ, ხომ უნდა გაითვალისწინონ „ნაცების“ განვლილი გზის შედეგები, განა გაიხსენებენ რომელიმე ფაქტს, როცა პრეზიდენტ სააკაშვილის რომელიმე ინიციატივამ ნაყოფი არ გამოიყო და მარცხით დამთავრდა?

— სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, თქვა პრეზიდენტმა, ის სფეროებია, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილის დასაქმება შეიძლება. უნდა გავაორმაგოთ წარმოება და ქვეყანაში აღარ უნდა იყოს დაუმუშავებელი მიწები. საქართველოს სერიოზული პოტენციალი აქვს ტურიზმის განვითარების თვალსაზრისითაც. წელს თუ ქვეყანას 2 მილიონი ვიზიტიორი ჰყავდა, 4-5 წელიწადში მათი რიცხვი 5 მილიონს გადააჭარბებს და შესაძლოა მომსახურე პერსონალის დეფიციტიც შეიქმნასო, — დასძინა სააკაშვილმა.

პრეზიდენტს არ გაუანალიზებია იმის მიზეზები, რატომ დარჩა დაუმუშავებელი მიწები ქვეყანაში (ეტყობა, საამისოდ დრო არ მორჩაძ, თორემ იმისთანა პროგნოზს გააკეთებდა, ჩინელებს ჩვენი მიღწევებისა იქით შეეხარბებოდათ. თუნდაც იმ გამოუსადეგარი მიწების ხელახლა დამუშავება რად ღირს, უქნარა კომუნისტებს შაქრის ჭარხალი რომ მოჰყავდათ და ახლანდელ ოქროდღირებულ შაქარს კაპიკებად აწარმოებდნენ(!ძ. არც იმის თაობაზე უთქვამს რამე, სოფლად საკუთარ პროდუქციას საერთოდ რომ აღარ ვქმნით, იმპორტული კი (მთელი პროდუქციის 80 პროცენტიძ ბაზრის ფასებს ცეცხლს უკიდებს (ეს თავისთავად იგულისხმებაძ. და ისიც, რომ მსხვილი იმპორტიორები, მთავრობის ხელდასხმით, ფაქტობრივად მონოპოლისტებად იქცნენ და სამომხმარებლო ბაზარს კატასტროფული ტემპით აძვირებენ. ეს არ უთქვამს (ხომ გითხარით, დროის დეფიციტი ჰქონდაძ, მაგრამ სამაგიეროდ ბევრი სასიხარულო ამბავით გაგვამხნევა.

კერძოდ რით? იმით, რომ ქვეყანას ჰიპერიმფლაცია არ ემუქრება. მორჩა ის პერიოდი (შევარდნაძისდროინდელ პერიოდზეა ლაპარაკიძ, როცა ეკონომიკა უცებ ჩამოიშლებოდა ხოლმე, ახლა ჩვენ ვახორციელებთ მკაცრ მონეტარულ კურსს და ხალხს შეუძლია გულდამშვიდებული იყოსო. ისე, რაც შეეხება სამომხმარებლო ფასების შეჩერებას, განაცხადა სააკაშვილმა, ამის ბერკეტი არც საქართველოს და არც რომელიმე სხვა ქვეყნის მთავრობას არ გააჩნიაო.

მიხეილ სააკაშვილი პროდუქტების გაძვირებას მსოფლიოში სხვადასხვა ქვეყნების მაღალგანვითარებულობით ხსნის. მისი თქმით, ამ საერთო განვითარებას არც საქართველო უნდა ჩამორჩეს. ჩვენ განსაკუთრებით წარმატებული უნდა ვიყოთ, რათა გადავრჩეთ. განვითარებულ ქვეყნებში ფასების მატებას იმიტომ არ განიცდიან ჩვენსავით მომაკვდინებლად, რომ შემოსავლები დიდი აქვთ, ჩვენმა ხალხმა მზარდ ინფლაციას უნდა უპასუხოს თავისი ჯიბის შემოსავლებით და ყველაფერი კარგად იქნებაო, — ირწმუნება სააკაშვილი.

აი, დასკვნაც ამას ჰქვია, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ინფლაციის პრობლემა ერთი ხელის მოსმით გადაწყვიტა — ფულით უნდა გქონდეთ, ჩემო კარგებო, ჯიბეები გატენილი და ინფლაცია ფეხებსაც ვერ მოგჭამთო. ფეხები, რა თქმა უნდა, არ უხსენებია, მაგრამ არც ის უკითხავს, მის დამშეულ მოქალაქეებს ჯიბეში უჭყავით რამე თუ არა. თუმცა სხვისა ჯიბეში ქექვა რა პრეზიდენტის საქმეა. ამის კითხვა გარდა იმისა, რომ პრეზიდენტის ფუნქციაში არ შედის, უბრალოდ არაეთიკურია.

**ოთარ ხუციშვილი**

**◎ წლები**

# ღვაწლი ფასდაუდებელი, ანუ ტრადიცია გრძელდება

## კლარა გელაშვილი – 80

**საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის თვალსაჩინო მოღვაწეს, პროფესორ კლარა გელაშვილს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.**

ქალბატონი კლარა დაიბადა 1931 წლის 21 იანვარს ქ. თბილისში, საქართველოს საბჭოთა ეპოქის თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის დიმიტრი გელაშვილის ოჯახში.

სადაც კი უმოღვაწია ქალბატონ კლარას თავისი ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის განმავლობაში, იგი ყოველთვის იყო მოწინავე პოზიციებზე, პროგრესული იდეების ავტორი და მათი განხორციელების აქტიური გენერატორი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ქალბატონმა კლარამ მთელი თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა მიუძღვნა მედიცინის ერთ-ერთ მეტად რთულ და შედარებით ახალ მიმართულებებს – რადიოლოგიასა და რადიაციულ ჰიგიენას. თავისი ცხოვრების თანამგზავრსა და ერთგულ მეგობართან – პროფესორ რევაზ ვეფხვაძესთან ერთად მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რადიოლოგიის, როგორც ახალი და პროგრესული სამეცნიერო მიმართულების, საქართველოში დამკვიდრებასა და განვითარებაში.

განუზომელია მისი წვლილი რადიაციული ჰიგიენის, როგორც პროფილაქტიკური მედიცინის შედარებით ახალი მიმართულების, სფეროში სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემაში დანერგვის საქმეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით იქნა შემოღებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სანიტარიულ-ჰიგიენურ (ამჟამად საზოგადოებრივი ჯანდაცვის) ფაკულტეტის სასწავლო გეგმაში ახალი დისციპლინა – რადიაციული ჰიგიენა. მის სწავლებას ქალბატონი კლარა ხელმძღვანელობდა 1981 წლიდან კომუნალური და რადიაციული ჰიგიენის კათედრის შემადგენლობაში, რომლის გამგეც იყო 1987-2001 წლებში. ამის შემდეგაც აგრძელებს ქალბატონი კლარა აქტიურ საქმიანობას – მისი უშუალო ხელმძღვანელობით, თანაავტორთან ერთად მომზადდა და 2007 წელს გამოიცა სახელმძღვანელო სტუდენტებისა და ექიმებისათვის „რადიაციული ჰიგიენა“, რომელიც მის მიერ 1976 და 1983 წლებში გამოცემული სახელმძღვანელოს გადამუშავებული და სრულიად ახალი, თანამედროვე ინფორმაციით შევსებული გამოცემაა.

დიდია ქალბატონ კლარას ღვაწლი საქართველოს რადიოეკოლოგიის აქტუალური საკითხების დამუშავებაში. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 5 საკანდიდატო დისერტაცია, რომლებიც საქართველოს რადიოეკოლოგიის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა. მის მიერ გამოქვეყნებულია 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 მონოგრაფია და 6 სახელმძღვანელო. არის ერთი გამოგონების ავტორი. უშუალოდ მისი და მისი მოწაფეების სამეცნიერო კვლევების შედეგები დაედო საფუძვლად საქართველოს რადიაციული რუკის შედგენას, რომელიც გაიგზავნა მსოფლიო რადიაციულ ატლასში შესატანად.

დიდია ქალბატონ კლარას როლი პროფილაქტიკური მედიცინის და, კერძოდ, ჰიგიენის მიმართულების ექიმ-სპეციალისტთა მომზადებაში. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მისი უშუალო ინიციატივით ჩამოყალიბებულ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფილაქტიკური მედიცინის სპეციალობების ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და დახელოვნების კურსებს. წლების მანძილზე იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექიმთა სახელმწიფო სერტიფიცირების კომისიის თავმჯდომარე ჰიგიენურ სპეციალობებში.

ქალბატონი კლარა თითქმის 10 წელი იყო საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რომლის საპატიო პრეზიდენტიც ბრძანდება ამჟამად. ეს პერიოდი საუკეთესო იყო აკადემიის ისტორიაში – გამოიცა აკადემიის სამეცნიერო შრომების კრებულის 4 ტომი, ჩატარდა რამდენიმე სამეცნიერო კონფერენცია (ბორჯომში, ბათუმში, სიღნაღში), გაეწია კონსულტაციები პრაქტიკოს ექიმებს და ჩატარდა მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევები და ა. შ.

მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქალბატონ კლარას საქართველოს ეროვნული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმატიული ბაზის შექმნასა და განვითარებაში. იგი არაერთი ნორმატიული დოკუმენტის შემუშავების ავტორი და ხელმძღვანელია. უშუალოდ მის მიერ მომზადდა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცდა საქართველოს ისტორიაში პირველი ეროვნული ნორმატიული დოკუმენტი – რადიაციული უსაფრთხოების ნორმები (რუნ-2000), რითაც ქალბატონი კლარა განსაკუთრებით ამაყობს.



ყველგან, სადაც კი მოღვაწეობდა და მოღვაწეობს ქალბატონი კლარა, იგი ყოველთვის არის იდეების აქტიურად დამნერგავი და საუკეთესო მაგალითი ახალგაზრდა კოლეგებისთვის, თუ როგორ უნდა ემსახურო უანგაროდ საკუთარ პროფესიას, მეცნიერებას, ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდას და, საერთოდ, ქვეყანას. მისი შრომა ღირსეულად დაფასდა სახელმწიფოს მიერ – არის ღირსების ორდენის კავალერი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაჯილდოებულია დიდი ოქროს მედლით.

ქალბატონი კლარა დღესაც, 80 წლის ასაკში, აღსავსეა ენერგიით და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სურვილით, რასაც მოწმობს მისი ხელმძღვანელობით, თანამოაზრეებთან ერთად, ამჟამად მიმდინარე მუშაობა ახალ სახელმძღვანელოზე.

ტრადიცია გრძელდება. ...ქალბატონი კლარასა და ბატონი რევაზის დაწყებულ საქმეს ღირსეულად აგრძელებს მათი ქალიშვილი – პროფესორი ნინო ვეფხვაძე, პრევენციული მედიცინისა და გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რომლის ხელმძღვანელობით ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობა მიმდინარეობს საქართველოს რადიოეკოლოგიის აქტუალური საკითხების შესასწავლად.

ვუსურვოთ ქალბატონ კლარას ჯანმრთელი და ნაყოფიერი ხანგრძლივი სიცოცხლე ქვეყნის და, კერძოდ, პროფილაქტიკური მედიცინის განვითარებაში შემდგომი წვლილის შეტანისათვის.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;**

**საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემია;**

**გ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;**

**ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.**

***რედაქციისგან:** ჩვენ, ადამიანები, რომ არცთუ იშვიათად ვურევთ, ძალიან ძველი და ცნობილი ამბავია, მაგრამ თუ კომპიუტერიც ამ დონეზე აურევდა (ადამიანის შექმნილისგან კი იყო მოსალოდნელი!), ნამდვილად არც გვეგონა, და დღემდე კერძოდ ჩვენს გაზეთში არც მომხდარა. „საქართველოს რესპუბლიკის“ გუშინდელ ნომერში (7 გვ.) გამოქვეყნდა ფრიად დამსახურებული ქალბატონის, პროფესორ კლარა გელაშვილის საიუბილეო სტატია, რომელშიც თვითონ იუბილარის სურათის ნაცვლად დაბეჭდილია სხვა ქალბატონის პორტრეტი (იმავე გვერდის ქვედა სტატიიდან). ეს სამწუხარო ტექნიკური გაუგებრობა მოხდა რედაქციიდან სტამბამდე, სანამ კომპიუტერით გადაგზავნილი გაზეთის გვერდები დანიშნულების ადგილამდე მივიდოდა.*

*რედაქცია ბოდიშს უხდის იუბილარსაც და მკითხველსაც. სტატიის განმეორებით დაბეჭდვაც სწორედ ამ ამბავმა გამოიწვია.*

**◎ ჯანდაცვა**

# ახალი საავადმყოფო კარგია, კარგი ექიმი – კიდევ უკეთესი

**მოგეხსენებათ, ასჯერ გაგონილს ერთხელ ნანახი სჯობსო. ცოტა ხნის წინათ კარდიოგრამის გადასაღებად კლინიკაში მისული (წინა დღეებში თავს ძალიან ცუდად ვგრძნობდი), ექიმებმა საავადმყოფოში ისე გამაქანეს, ჩემთვის ბევრი არაფერი უკითხავთ. არც კლინიკას, არც საავადმყოფოს შეგნებულად არ დავასახელებ, რათა ვინმემ არ იფიქროს, რომ რეკლამას, ანდა, პირიქით, ანტირეკლამას ვეწევი.**

დავიწყებ კლინიკით, რომელიც თანამედროვე აპარატურითაა აღჭურვილი და კეთილმოსურნე პროფესიონალებითაა დაკომპლექტებული, რისთვისაც ულრმეს მადლობას ვუხდი. კლინიკიდან საავადმყოფოში ერთ-ერთმა სპეციალიზებულმა სასწრაფო დახმარების კომერციულმა კომპანიამ გადამიყვანა (არც იმის დასახელებას გავამხელ, რომლის ექიმმა სტაციონარისთვის თადარიგიანად „მომამზადა“ და წინდაწინ ხელის მტევნის ზევით კათეტერი დამიყენა, მაგრამ ვაი ამ დაყენებას! მეორე დღეს ხელი ისე დამისივდა და ამტკივდა, ჩემი მოციმციმე არითმია სულ გადამავიწყა, ამიტომ სტაციონარის მორიგე ექთანმა კათეტერი ზევით, იდაყვთან ახლოს გადამიტანა, მაგრამ... ჯობდა ისევ ძველ ადგილს დაეტოვებინა, რადგან ახლა იდაყვიდან მოყოლებული თითების წვერებამდე მთელი ხელი ერთ „მოგუგუნე“ იარად გადამექცა, რასაც საავადმყოფოდან გამოსული ერთი კვირის თავზეც ვმკურნალობ შინაური მალამოთი, რადგან მორიგი ექიმის მიერ დანიშნულმა მკურნალობამ – ჭრილობაზე მარილწყლის საფენის დადებამ – საავადმყოფოში ორი ღამე თეთრად გამათევინა.

ვრცელი შესავლისთვის ბოდიშს კი ვიხდი, პატივცემულო მკითხველო, მაგრამ ამის თაობაზე ამდენი იმიტომ ვილაპარაკე, რომ ყველაფერი ეს (საავადმყოფოში უბრალოდ ღამის გათევაც კი!) საკმაოდ სოლიდური თანხა ჯდება, ამიტომ იმას, თუ ვინ და როგორ იმუშავებს 1100 საწოლზე გათვლილ 46 ახალ რაიონულ საავადმყოფოში, რომლებიც, ტენდერის პირობების თანახმად, ათმა გამარჯვებულმა სადაზღვევო კომპანიამ უნდა ააშენოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა ექნება. გარდა კეთილსინდისიერი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, კვალიფიციური მომსახურებისა, სადაზღვევო კომპანიები, იმავე ტენდერის პირობების თანახმად, **ვალდებულნი იქნებიან, მოცემულ რეგიონში 3 წლის ვადით ყველა უმწეო დააზღვიონ.**

ეს რაც შეეხება მხარეებს, თბილისი კი, როგორც ადრე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა განაცხადა, **ჰოსპიტალურ კლასტერებად დაიყო.** მათგან პირველი კლასტერი საბურთალოა. კერძოდ, რესპუბლიკური საავადმყოფო, სადაც კანადური კომპანია დამატებით ვალდებულებებს იკისრებს, ხოლო თავად სტაციონარული კლინიკის სრულ რეკონსტრუქციას კი 30 მილიონი დოლარი დასჭირდება.



**დიღმის მასივი, სადაც თავად სახელმწიფო შეაკეთებს რკინიგზისა და ჟვანიას სახელობის საავადმყოფოებს, მეორე კლასტერია.** საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ერთი წლის შემდეგ ამ უკანასკნელში 14 სხვადასხვა კლინიკა გადავა. სამი დანარჩენი კლასტერის ზუსტი მონაცემები ახლო მომავალში დადგინდება.

აღსანიშნავია, რომ ახალი საავადმყოფოების ძალის მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებს ისრაელის სამედიცინო კომპანია „იაჰოპიც“, რომელმაც შესაბამისი ხელშეკრულება ეკონომიკისა და მდგადი განვითარების სამინისტროსთან გააფორმა. **ხელშეკრულების პირობების თანახმად, ისრაელის საინვესტიციო კომპანია საქართველოს 27 ქალაქსა და რაიონში ათასი საწოლის მთლიანი ოდენობის საავადმყოფოებს ააგებს, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ ამ რეგიონებში საკუთარი კეთილმოწყობილი, თანამედროვედ აღჭურვილი დაახლოებით 35-საწოლიანი სტაციონარი ექნებათ.**

– უძრავი ქონება უცხოურ კომპანიას მხოლოდ აუდიტორულად დამოწმებული წინასწარ განსაზღვრული ინვესტიციის განხორციელების შემდეგ გადაეცემა, – აღნიშნა ამასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა. – ჯანდაცვის რეფორმა და ჰოსპიტალების მშენებლობა აღარ იქნება დამოკიდებული რომელიმე ერთი კომპანიის წარმატებასა და დაფინანსების წყაროს მოძიებაზე, – დასძინა მან, როცა საქმე კომპანია „ბლოკ ჯორჯიას“ მიერ 100 ახალი საავადმყოფოს მშენებლობის ჩაგდებულ პროექტზე მიდგა. **შეუსრულებელი ვალდებულებების გამო კომპანია დაჯარიმდა, ხოლო თბილისში, ბათუმსა და სხვა ქალაქებში მართვაში გადაცემული საავადმყოფოები ჩამოერთვა.** ხელშეკრულება „ბლოკ ჯორჯიასთან“ მთავრობას დიდი ხნის შეწყვეტილი აქვს, თუმცა მის მართვაში მაინც დარჩება ზუგდიდის საავადმყოფო, სადაც კომპანიამ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მოახერხა. გარდა ამისა, „ბლოკ ჯორჯიას“აქვს წალენჯიხაში, მესტიაში, აბაშაში, ჩხოროწყუში, წყალტუბოსა და მარტვილში ახალი საავადმყოფოების აშენების ვალდებულება, რისი გარანტიები კომიანიას უკვე აქვს, ხოლო სამუშაოები წლის დამლევამდე უნდა დასრულდეს.

**ოთარ ტურაბელიძე**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს პრეზიდენტი აღთქმულ მიწაზე დაპირებას ჰპირდება

**ტელეარხმა „პირველი კავკასიური საინფორმაციო" მაუწყებლობა თბილისიდან დაიწყო საქართველოს პრეზიდენტთან მიხეილ სააკაშვილთან დიდი პრესკონფერენციით. მან გამოაცხადა, რომ ამჟამინდელ რუსეთთან მოლაპარაკება შეუძლებელია, ამიტომ პრეზიდენტს განზრახული აქვს, გაააქტიუროს საქართველოს პოლიტიკა ჩრდილოეთ კავკასიაზე, რათა უზრუნველყოს ქვეყნის დაცვა მოსკოვის ახალი პროვოკაციებისგან.**

რუსულენოვანი ტელეარხის „პირველი კავკასიური საინფორმაციოს" მიერ მოწყობილი პრესკონფერენცია სახელწოდებით „პრეზიდენტი უპასუხებს ხალხის შეკითხვებს" გადაიცემოდა საქართველოს ყველა საერთო ეროვნული ტელეარხებით. იგი მოეწყო რუსეთელებისთვის კარგად ცნობილი ფორმატით „ლიდერის ურთიერთობა ხალხთან", რეგიონებიდან და მრავალრიცხოვანი სატელეფონო ზარების ჩართვით ცხელ ხაზზე. როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილს ესმოდა, რომ ასეთი ანალოგია აუცილებელია, ამიტომ უმალვე განაცხადა: „ზოგიერთი სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ასევე მიმართავენ მსგავს ფორმას, ჩვენთან შეკითხვები წინასწარ ინსცენირებული არ არის და არც შეთანხმებულია".

პრეზიდენტი, სხვათა შორის, არ მალავდა, რომ მონაწილეობას ღებულობს „პირველ კავკასიურ საინფორმაციო" გადაცემაში ამ ტელეარხის პოპულარიზაციის მიზნით. „პირველი კავკასიური საინფორმაციო" მაუწყებლობის დაწყება — მეტად მნიშვნელოვანი ინიციატივაა. ბევრს ბოლომდე ვერ გაუგია, თუ რატომ შეიქმნა ასეთი დონის ტელეარხი, — სიამაყით აღნიშნა პრეზიდენტმა. — ჩვენ მოვიწვიეთ მსოფლიო დონის ჟურნალისტები ბი-ბი-სი-დან და საფრანგეთის წამყვანი ტელეარხებიდან. მათ გადაწყვიტეს, ჩამოსულიყვნენ და დაეარსებინათ საქართველოში თავისი ტელევიზია, რომელიც განახორციელებს მაუწყებლობას მთელ კავკასიაზე და მთელ მსოფლიოზეც".

ძირითადი ნაწილი შეკითხვებისა, რომლებიც პრეზიდენტს დაუსვეს, შეეხებოდა სოციალურ პრობლემატიკას. კერძოდ ფასების სწრაფ ზრდას კვების პროდუქტებზე. ინფლაციის მიზეზს მიხეილ სააკაშვილი ხედავს გლობალურ პროცესებში, პირველ რიგში ჩინეთის ეკონომიკის სწრაფ ზრდაში. „ჩინელთა უმრავლესობა შიმშილობდა მთელი თავიანთი ისტორიის მანძილზე. ამჟამად კი ამ ქვეყნის თითქმის მთელმა მოსახლეობამ დაიწყო ჭამა. ხოლო, როდესაც მილიარდნახევარი კაცი იწყებს ჭამას, ეს, რასაკვირველია, გავლენას ახდენს მსოფლიო ფასებზე, — განმარტა ბატონმა სააკაშვილმა მსოფლიო კრიზისის მიზეზი. — უფრო მეტიც, თუ ადრე მთელი ჩინეთი გადაადგილდებოდა ველოსიპედებით, ამჟამად მათ დაიწყეს მანქანების შესყიდვა. ესე იგი, მოიხმარენ სულ უფრო მეტ ბენზინს. ბენზინის გაძვირება კი — ეს პროდუქტების გაძვირებაა. ამ სიტუაციაში გამოსავალი მხოლოდ ერთია — რომ ჩვენ რაც შეიძლება ჩქარა განვვითარდეთ".

სააკაშვილი დაგვპირდა, გადააქციოს საქართველო მთელი რეგიონის ტურისტულ ცენტრად და აღნიშნა, რომ სწორედ ამ დარგის განვითარება მიაჩნია პრიორიტეტად ქვეყნისთვის. როდესაც ჩამოთვლიდა საქართველოს კურორტებს (აჭარა, ბაკურიანი, ბორჯომი, მესტია, სიღნაღიძ, მან გაიხსენა კოდორის ხეობაც აფხაზეთში, სადაც 2008 წლის აგვისტომდე დისლოცირებული იყვნენ საქართველოს ჯარები. „ჩვენ იქ ვაპირებდით აგვეშენებინა საუცხოო კურორტი, მაგრამ არამზადებმა დაბომბეს და მიწასთან გაასწორეს იგი", — დაიჩივლა პრეზიდენტმა. და უმალვე სიამაყით დაუმატა: „დღეს ბათუმში შენდება უფრო მეტი ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო, ვიდრე მოსკოვში".



ტურიზმის განვითარების გარდა სააკაშვილმა განაცხადა, რომ ბათუმში გახსნის ამერიკის ტექნიკური უნივერსიტეტის ფილიალს, ააშენებს ქარხნებს კომპიუტერისა და ელექტრომობილების ასაწყობად, აგრეთვე ხუთ დიდ ჰიდროელექტროსადგურს. მყარი პროგრესის პირობად კი ის მიიჩნევს ინგლისური ენის ყველგან დანერგვას ათეული ათასობით ინგლისურად მოაზროვნე მასწავლებლების დახმარებით, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ჩამოვიდა საქართველოში.

„ინგლისურენოვან ქვეყნებს, ყოფილ კოლონიებს, ბედმა გაუღიმა, რომ მათ იციან ეს ენა — თავისუფლებისა და განვითარების ენა, მაგრამ ჩვენ მათ ამაში უნდა დავეწიოთ", — მოუწოდა პრეზიდენტმა.

პრეზიდენტის გამოსვლის ძირითადი ნაწილი მიეძღვნა რუსეთ-საქართველოს პრობლემატიკას. და აქ ქართველი ლიდერი იყო მკვახე, როგორც არასოდეს. „მე, რასაკვირველია, არ ვარ რუსეთის მტერი, მაგრამ ვინ არიან იმპერიული პოლიტიკის მატარებლები? ეს ლიდერები ჰგვანან ნიანგებს. თუ შენ პატარა ხარ, ნიანგს ვერ მოელაპარაკები! ნიანგს შეიძლება მოელაპარაკო მხოლოდ ერთ რამეში — ნებაყოფლობით ჩაუყო თავი პირში, — მსჯელობდა პრეზიდენტი — ამერიკას და ინგლისს საფრანგეთთან ერთად ნიანგი ეგრე იოლად ვერ ჩაყლაპავს და პოლონეთზეც კბილებს მოიმტვრევს, ლიტვა და ესტონეთიც პატარა ქვეყნებია, მაგრამ ისინი დაცული არიან. ამიტომ იგი მათთან ცხვირს ვერ შეყოფს".

რუსეთიდან პრეზიდენტი გადავიდა ოპოზიციაზე. ყოფილ სპიკერს ნინო ბურჯანაძეს და ექს-პრემიერ ზურაბ ნოღაიდელს, რომლებიც არაერთგზის შეხვდნენ რუსეთის ფედერაციის პრემიერს ვლადიმერ პუტინს, მან „ერის გამყიდველები უწოდა, რომლებიც მზად არიან დაუწვნენ რუსეთს" და გაიხსენა თავისი საუბარი „ერთ-ერთ უცხოელ ლიდერთან". „მან მითხრა, რომ მისი ოპოზიცია, თუ მიიღებდა მონაწილეობას მტრული სახელმწიფოს სამხედრო პარადში, იგი მათ თავს წააცლიდა", — გაიხსენა მისი სიტყვები ქართველმა ლიდერმა.

როდესაც კომენტარს უკეთებდა დომოდედოვოში მომხდარ ბოლო ტერორისტულ აქტს, მიხეილ სააკაშვილმა გაიხსენა ბუმერანგი, რომელიც რუსეთს უბრუნდება. „ტერორიზმს, რასაკვირველია, არ აქვს გამართლება, იღუპება უდანაშაულო ხალხი, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. და იქვე დაუმატა: — ამასთან ერთად არსებობს ბუმერანგის ცნებაც. ჩვენ ხომ ვაფრთხილებდით რუსეთს! როდესაც პრეზიდენტმა პუტინმა მითხრა, რომ ჩვენ მზად ვყოფილიყავით კოსოვოს პრეცედენტისთვის აფხაზეთთან და სამხრეთთან დაკავშირებით, მას შევახსენე ჩრდილოეთი კავკასია, მაგრამ მან მხოლოდ ხელი ჩაიქნია. აიო, ჩვენ იქ ყველა პრობლემა გადავჭერით, ხოლო თუ ვინმე თავს გამოყოფს, გავსრისავთ, როგორც ტარაკნებს. და მან საქართველოში გააკეთა ის, რაც გააკეთა, რის შემდეგაც ჩრდილოეთ კავკასიაში კვლავ სხვადასხვა კუთხიდან ავარდა ალი, რომელიც მათ ჩამქრალი ეგონათ".

მიხეილ სააკაშვილის აზრით, ჩრდილოეთ კავკასიაში „ბატონობს ჯუნგლების კანონი", რეგიონი „გადაიქცა გეტოდ, რომელშიც მოსახლეობა დასაგლეჯად გადაეცა ადგილობრივ ფეოდალებს, რომლებსაც შეუძლიათ მათთან გააკეთონ ყველაფერი, რასაც მოისურვებენ". მიუხედავად ამისა, პრეზიდენტი არ მიიჩნევს შესაძლებლად, მოუსმინოს „დასავლელი მეგობრების" რჩევებს, რომლებიც გამოხატავენ შეშფოთებას მისი გადაჭარბებული აქტივობის გამო ჩრდილოეთ კავკასიაში. „საპასუხოდ მე მათ ვეკითხები: თუ ვლადიმერ ვლადიმერის ძე ჩვენს წინაალმდეგ გამოაგზავნის 50 ათას ჩეჩენს, თქვენი ჯარისკაცები რა, ჩამოვლენ მათ წინაალმდეგ საბრძოლველად?! ჩვენ უნდა ვიმუშაოთ ჩეჩნებთანაც და სხვებთანაც, რომ ვლადიმერ ვლადიმეროვიჩმა ვერ შეძლოს, წაგვკიდოს კავკასიელებს", — განმარტა პრეზიდენტმა.

სააკაშვილმა რუსეთს მჭმუნვარე მომავალი უწინასწარმეტყველა: „თანამედროვე რუსეთი — ჩამორჩენილი, ფეოდალური ქვეყანაა, რომელიც კორუფციაში ჩაეფლო. მას ისეთივე ბედი ელის, როგორც თურქ-სელჩუკთა იმპერიას". პრეზიდენტმა გაიხსენა, რომ „დიდი ქართველი მეფე დავითი ეომებოდა სელჩუკების იმპერიას და გაიმარჯვა, ვინაიდან დაელოდა იმ მომენტს, როდესაც იმპერია წელში გაწყდა დასავლელი ჯვაროსნების შემოტევის შედეგად". ამიტომ, მიხეილ სააკაშვილის აზრით, საქართველოს მხოლოდ ერთი გზა აქვს — „სწრაფად განვითარდეს, დაუნდობლად ებრძოლოს რეპტილიებს და საბოლოოდ ამოვიდეს ჭაობიდან, რომელშიც იმყოფება". აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს კი პრეზიდენტმა უწოდა „ჩვენი აღთქმული მიწები, სადაც ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით თუნდაც ათასი წლის შემდეგ — როგორც თავიანთ აღთქმულ მიწას დაუბრუნდნენ ებრაელები".

Коммерсант

# სააკაშვილმა რუსეთი ნიანგს შეადარა

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა განცხადება, რომელშიც რუსეთი ნიანგს შეადარა.**

„იმპერიული მენტალიტეტის მქონენი ნიანგს ჰგვანან, რომელიც თავის სუსტ მსხვერპლს პირდაღებული უახლოვდება", — თქვა საქართველოს პრეზიდენტმა, როდესაც უპასუხებდა მოქალაქეთა შეკითხვებს მოსკოვთან ურთიერთობის შესახებ.

მან დაუმატა აქვე, რომ ამჟამინდელი რუსეთი — ეს არის მტერი, ვისთანაც შეუძლებელია მოლაპარაკება.

როდესაც კომენტარს უკეთებდა მოსკოვის აეროპორტ დომოდედოვოში მომხდარ ტერორისტულ აქტს, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა გამოთქვა მწუხარება ხალხის დაღუპვასთან დაკავშირებით, მაგრამ ამასთან ერთად თქვა, რომ ეს არის ბუმერანგი, რომელიც უბრუნდება რუსეთს თავისი პოლიტიკის შედეგად საქართველოსთან დაკავშირებით.

საქართველოს ლიდერმა ჩრდილოეთ კავკასიას უწოდა „გეტოს მაგვარი რაღაც, სადაც ხალხი განწირულია ადგილობრივი ფეოდალების ხელში". მისი აზრით, რუსეთი — ეს არის იმპერია, რომელიც ინგრევა და ლპება და, რომელშიც ბატონობენ კორუფცია და ჩამორჩენილობა.

სააკაშვილმა ბრალი დასდო აგრეთვე რუსეთის სპეციალურ სამსახურებს ტერაქტების მოწყობაში თბილისში და მოუწოდა თანამემამულეებს, არ ენდონ პუტინს, რომელიც, მისი სიტყვებით, „ევგენი პრიმაკოვის დაბადების დღეს უსმენს" სულიკოს, მაგრამ ამავე დროს ცდილობს, დაანაწევროს და გაანადგუროს საქართველო".

УНІАН

## დედამიწის ზურგზე



**რუსეთი იწყებს „გაქცევას" ევროსაბჭოს ზედამხედველობიდან. ევროპარლამენტს კვლავ აქვს პრეტენზიები**

მოსკოვის განზრახვა, რომ დამტკიცდეს იმ ვალდებულებათა ჩამონათვალი, რომელთა შესრულების შემდეგაც სიტუაციის მონიტორინგი რუსეთის ფედერაციაში შეწყდება. ევროსაბჭოს მეთვალყურეობის ქვეშ რუსეთი იმყოფება ამ ორგანიზაციაში ყოფნის 15 წლის განმავლობაში. ოთხშაბათს ევროპარლამენტმა კვლავ ისაუბრა რუსეთში არსებულ „სისტემურ ნაკლოვანებებზე".

* * *

**ავსტრალიაში ამკვიდრებენ „გადასახადს წყალდიდობაზე"**



უკანასკნელი თვის განმავლობაში სტიქიამ 35 ავსტრალიელის სიცოცხლე შეიწირა. მთლიანად ქვეყნის აღმოსავლეთში დატბორილი აღმოჩნდა ტერიტორია, რომელიც გერმანიისა და საფრანგეთის მთელ ფართობს აჭარბებს ერთად აღებულს. ეკონომიკური ზარალის მასშტაბები შეფასებულია 10 მილიარდ დოლარად. გადასახადი ხაზინას მისცემს 1,79 მილიარდ დოლარს.

* * *

**სომალიელმა მეკობრეებმა მნიშვნელოვნად გააფართოვეს მოქმედების ზონა, გვაფრთხილებს აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების ვიცე-ადმირალი**



მეხუთე ფლოტის სარდლობის მონაცემებით, სომალის სანაპიროზე ამჟამად მოქმედებს 8 ძირითადი სამეკობრო დაჯგუფება, რომლებსაც აქვთ, როგორც მინიმუმი, ერთი დიდი „საცურაო ბაზა" თითოეულს. მეკობრეების მძევლების რიცხვი გასული წლის სექტემბრიდან 350-დან 770 კაცამდე გაიზარდა.

* * *

**აშშ-ს აღმოსავლეთ შტატებში დიდთოვლობაა, ნიუ-იორკში მოდის ყინულის წვიმა**

ამერიკის ყველაზე სამხრეთ შტატში ატლანტიკის სანაპიროზე — ფლორიდაში ითვლიან ზარალს, რაც ძლიერმა ციკლონმა მიაყენა. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ეს ციკლონი არის ძლიერი ფრონტის ნაწილი, რომელმაც მოიტანა თოვლი ჩრდილოეთ რაიონებში. ქალაქ სანკტ-პეტერბურგში დაზარალდა ერთი კაცი.



## პიროვნება

# ორთოგრაფიული ლექსიკონის კორექტურას სიკვდილის წინა დღეებშიც კითხულობდა...

**„ქართული ენა ქართველი ერის დიდი და ხანგრძლივი შემოქმედების პროდუქტია. იგი ისევე ძველია, როგორც თვით ქართველი ხალხი და მისი სახელოვანი ისტორია.**

**ქართულ ენაში ასახულია ქართველი ერის წარსული, აწმყო და მომავალი, მისი ზნეობრივი და გონებრივი ცხოვრება,“ — წერდა ვარლამ თოფურია, ქართული ენათმეცნიერების თვალსაჩინო მკვლევარი და იმავდროულად მისი ერთ-ერთი ფუძემდებელიც.**

მას, როგორც ლინგვისტს, ქართველურ და კავკასიურ ენათა შესანიშნავ მკვლევარს, ფართოდ იცნობდნენ არა მარტო საქართველოსა და საბჭოთა კავშირში, არამედ უცხოეთის მრავალ სამეცნიერო ცენტრშიც. ავტორია მრავალი სასკოლო სახელმძღვანელოს და ლექსიკონისა. ორთოგრაფიული ლექსიკონის მეოთხე გამოცემის კორექტურას სიკვდილის წინა დღეებში კითხულობდა...

იგი არ წყვეტდა ურთიერთობას უნივერსიტეტდამთავრებულ სტუდენტებთან, თვალყურს ადევნებდა მათ მუშაობას, რჩევა-დარიგებას აძლევდა... ეხმარებოდა ნიჭიერ სტუდენტებს, თბილისში დაბრუნებულიყვნენ და სწავლა ასპირანტურაში განეგრძოთ. ასე წამოიყვანა სოფლიდან უნივერსიტეტდამთავრებული ელენე კოშორიძე და მიიღო ასპირანტურაში. ასევე, წამოიყვანა სოფლიდან თინათინ ღვინაძე... ახლა ეს ადამიანები ცნობილი მეცნიერები არიან.

ვარლამ თოფურიას 110 წელი შეუსრულდებოდა. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის თაოსნობით, დიდი მეცნიერის საიუბილეო თარიღი აღინიშნა. იგი თავის დროზე სათავეში ედგა ენათმეცნიერების ინსტიტუტს, ხოლო შემდეგ ამავე ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებას.

აი, როგორ იხსენებენ ვარლამ თოფურიას მისი აღზრდილები:

**დამანა მელიქიშვილი, თსუ პროფესორი ემერიტუსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი:** — პროფესორ ვარლამ თოფურიას ლექციებს თანდათანობით შეჰყავდი ქართული ენის უკიდეგანო სამყაროში, მიჰყავდი ახალ-ახალი აღმოჩენებისაკენ.


ვარლამ თოფურია

მახსოვს, ბატონმა ვარლამმა და ბატონმა ოთარმა (ურიდიამ), რომელიც ქართული ენის გრამატიკაში სემინარებს გვიტარებდა და, როგორც წესი, ყოველთვის ესწრებოდა ბატონი ვარლამის ლექციებს, ქართველური ჯგუფის სტუდენტები საინგილოში წაგვიყვანეს.

ჯერ კახში ჩავედით, სკოლის ბიბლიოთეკაში წიგნები ჩავიტანეთ და მერე ალიაბათში ავედით. სწორედ მაშინ ისტამბებოდა „ქართული დიალექტოლოგიის“ დიდი კრებული. ბატონ ვარლამს თან წამოეღო კრებულში შესატანი ინგილოური დიალექტის მასალა, რათა ადგილზე გადაემოწმებინა. იგი იქვე, უბანში შეკრებილ მცხოვრებლებთან გამოკითხვით აჯერებდა ანაბეჭდს. და წარმოიდგინეთ, გაკვირვებასთან ერთად, როგორი აღშფოთება დაგვეუფლებოდა, როდესაც დავინახეთ, რომ ჩვენი მხცოვანი, სათაყვანებელი მოძღვარი მილიციის განყოფილებაში წაიყვანეს, როგორც საეჭვო პირი! საჭირო გახდა თბილისში, ცეკას განყოფილებაში დარეკვა, რომ გაეთავისუფლებინათ.

წინა ზაფხულში კი ქართველური ენების განყოფილების სტუდენტები ექსპედიციაში გაგვაგზავნა რაჭაში, სადაც წინა წელს თვითონ ყოფილიყო დიალექტური მასალის ჩასაწერად. მთელი რაჭა ფეხით მოვიარეთ და, რომ გაიგებდნენ, ბატონი ვარლამის სტუდენტები ვიყავით, თავს გვევლებოდნენ. იქიდან თითო საერთო რვეული ჩამოვიტანეთ, ჩანაწერებით შევსებული, მოხსენებებიც წავიკითხეთ და ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც რაჭული დიალექტის მასალაში ჩვენი ჩაწერილი მასალაც ვნახეთ გამოქვეყნებული.

**თინათინ ღვინაძე, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი:** — 1953 წლის პირველ სექტემბერს უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველკურსელებთან პირველსავე ლექციაზე შემოვიდა მომხიბლავი გარეგნობის ლექტორი და მაშინვე, ყოველგვარი შესავლის გარეშე, დავალებად მოგვცა — დაგვეწერა ნაშრომი თემაზე: ვინ ვარ და ვინ მინდა ვიყო? ჩვენი ლექტორი საკმაოდ ასაკოვანი გვეგონა, მისი გამტკნარებული სახის, მოძრაობის, საუბრის მანერისა და მთლად თეთრი თმების გამო. ის კი — ბატონი ვარლამ თოფურია — მაშინ მხოლოდ 52 წლისა ყოფილა. გაგვიცნო ამ პირველი ნაწერებით, რომლებიც გვაჩვენა მხოლოდ სახელმწიფო გამოცდების დროს — ალბათ, იმაზე დასაფიქრებლად, თუ რა შეიცვალა ჩვენში განვლილი ხუთი წლის განმავლობაში! ჩვენი მასწავლებლის გავლენით კი ბევრი რამ აღმოვაჩინეთ შეცვლილი.

მეორე კურსიდან გამოიყო ქართველურ ენათა ჯგუფი, რომელშიც მთელი კურსის ორი მრავალრიცხოვანი ჯგუფიდან მხოლოდ შვიდნი აღმოვჩნდით, ყველა საქართველოს სხვადასხვა რაიონში სკოლადამთავრებულები. ბატონი ვარლამი ჩვენ, შვიდკაციან ჯგუფს, ყველაზე მეტ დროს და ყურადღებას გვითმობდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ოთხი სტუდენტი იყო უმამოდ დარჩენილი და სტუდქალაქში ცხოვრობდნენ. ჩვენი მასწავლებელი მათ მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა: ყოველთვის იცოდა მათი ცხოვრების, სწავლისა და ჯანმრთელობის ამბები.

ერთ-ერთი მათგანი მესამე კურსზე ფილტვებით მძიმედ დაავადდა. ბატონმა ვარლამმა მისი მკურნალი ექიმისგან გაარკვია იმისი მდგომარეობა და შემდეგ აბასთუმანში გააგზავნა მკურნალობის გასაგრძელებლად. იქაც არ აკლებდა ყურადღებას და ამდენი მზრუნველობით მანაც ჩვენთან ერთად დაამთავრა უნივერსიტეტი, ისე რომ წელი არ გასცდენია.

**ელენე კოშორიძე, თსუ პროფესორი:** — იგი გარეგნობით იპყრობდა მნახველს: თოვლივით გათეთრებული ხშირი თმითა და კეთილშობილური, ღვთაებრივი ღიმილით, რომელიც ანდამატივით იზიდავდა კაცს.

ლექციის დაწყებამდე ერთი საათით მაინც ადრე მოდიოდა უნივერსიტეტში, დინჯად შემოაბიჯებდა მის კედლებში და თითქოს თან მოჰყვებოდა სითბო და სინათლე.

პირველი კორპუსის შესასვლელთან უამრავი ნაცნობი ხვდებოდა. იგი უპირველესად ძია მოსეს — დარაჯს ესალმებოდა, მოიკითხავდა, ხელს ართმევდა და შემდეგ — სხვებს: კოლეგებს, ასპირანტებს, სტუდენტებს; მათი თანხლებით მიიკვლევდა გზას ქართული ენის კაბინეტისაკენ, რომელიც დღეს მისი სახელობისაა. აქაც უამრავი ნაცნობ-უცნობი უცდიდა: დიპლომატები, რაიონიდან ჩამოსული მასწავლებლები, პედაგოგიკის ინსტიტუტის თანამშრომლები...

მაშინ უკვე კათედრის ლაბორანტი ვიყავი და მახსოვს, როგორი გულისხმიერებით უსმენდა თითოეულს და სათანადოდაც აკვალიანებდა.

ბატონი ვარლამი შეფასებისას ძალიან ობიექტური იყო. უცოდინარი სტუდენტი მასთან ნიშანს ვერ მიიღებდა.

იხ. 11 გვ.

## სხვა გაზეთიდან

# სახელმწიფოები – ობობას ქსელში

**„ვიკილიკსის“ საიტმა და მისმა მთავარმა რედაქტორმა ჯულიან ასანჟმა საბოლოოდ დაყვეს დედამიწის მცხოვრებლები, რომელ ქვეყნებშიც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი, რიგით მოქალაქეებად და სახელმწიფო საქმეებით დაკავებულ პოლიტიკოსებად.**

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტთან და სხვა ქვეყნების საგარეოპოლიტიკურ უწყებებთან ასანჟის კონფლიქტმა გააშიშვლა გადაულახავი ბზარი ნებისმიერ „საზოგადოებასა“, როგორც ცოცხალთა „გაერთიანებას“, რომლებიც არ ცხოვრობენ სახელმწიფო ცხოვრებით, და ყოველგვარ „სახელმწიფოს“, როგორც „საზოგადოების საქმეთა მართვის ორგანოს“, შორის.

მაღალი რანგის პოლიტიკოსებიდან არავინ დამდგარა „ვიკილიკსისა“ და ასანჟის მხარეს. მათ იმათი საქმიანობა „სახიფათოდ“ და „დანაშაულებრივადაც“ კი მიიჩნიეს.

და, პირიქით, ჩვეულებრივი ხალხის უდიდესმა უმრავლესობამ თავისი სიმპათიები „სკანდალურ“ ავსტრალიელს მიანიჭა და მის დასაცავად გამოვიდა. მარტივია ამ ხალხის არგუმენტი — „საზოგადოებას“ უფლება აქვს, იცოდეს, თუ როგორ იქმნება მისი (საზოგადოების!ძ სახელით პოლიტიკა. ბოლოს და ბოლოს, „საზოგადოება“ ხომ არაა ვალში „სახელმწიფოს“ წინაშე თავისი არსებობით, პირიქითაა ეს ყველაფერი.

საიდან გაჩნდა ეს ბზარი „საზოგადოების“ შემქმნელ ჩვეულებრივ ხალხსა და იმ „სისტემურ“ პოლიტიკოსებს შორის, რომლებმაც თავშესაფარი სახელმწიფო ორგანოებში იპოვეს?

ენგელსის სიტყვებით, როდესაც ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არსებობს დამოუკიდებელი, საზოგადოებისგან მოწყვეტილი და მასზე ამაღლებულ სუბსტანციის სახით, გამოთიშულია ნამდვილი ინტერესებისაგან, იგი მეტი არაფერია, თუ არა სინამდვილეში ხალხთა არარსებული ერთიანობის ფორმა, ილუზორული სიმბოლო. ამ დროს სახელმწიფოს აქვს საკუთარად კერძო ინტერესი. მის უკან იმალება ვიწრო კერძო ინტერესები — ცალკეული სახელმწიფო სტრუქტურებისა და უწყებების „საკუთარი“ ინტერესებიდან იმ კორუმპირებული ჩინოვნიკების პირად ანგარებამდე, რომლებიც მონაწილეობენ „საზოგადოების“ გადასახადებისაგან ჩამოყალიბებული ბიუჯეტის „დაქუცმაცებაში“.

აი რატომ არის, რომ საკუთარი კერძო ინტერესების მქონე „სახელმწიფოსთვის“ ბუნებრივია და უფრო მარტივია, ითანამშრომლოს და მიაღწიოს კონსენსუსს სხვა „კერძო“ ინტერესებთან, დიდი მესაკუთრეების ინტერესებთან, უწინარეს ყოვლისა.

აი სწორედ ეს აქცევს ყველა სახელმწიფოს, მათ შორის „დემოკრატიულსაც“, ეგრეთ წოდებული საზოგადოების არსებობის „ილუზორულ ფორმად“, საზოგადოებისა, რომელიც რეალურად არსებობს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურად და სოციალურად ჭრელი მოსახლეობის სახით.

განა ამას არ ადასტურებს მსოფლიო ისტორიის უკანასკნელი ორასი წლის მანძილზე მრავალი ხალხისა და ქვეყნის გამოცდილება? მათ შორის მათი ბრძოლა „დემოკრატიული“ საწყისებისათვის




XVIII საუკუნის ბოლოს საფრანგეთის რევოლუციიდან დაწყებული? და განა ამას არ ადასტურებს პოსტსაბჭოთა დემოკრატიული რუსეთის 20 წლის გამოცდილება? ამას ადასტურებს „ვიკილიკსის“ გამოჩენაც.

იმას, თუ სინამდვილეში რას ფიქრობენ და რას აპირებენ პოლიტიკოსები, კონფიდენციალური, საზოგადოებისგან დაფარული ინფორმაცია ეწოდება. ეს კი, რასაც პოლიტიკოსები აცხადებენ ხმამაღლა და უკვე „საზოგადოებისათვის“, სინამდვილეში არის სიცრუე, დაფარული ეზოპეს ან დიპლომატიური ენით.

„ვიკილიკსმა“ ჩამოაგლიჯა ნიღაბი ამერიკულ დიპლომატიას. ის კი, თუ როგორ დაგმეს მრავალი ქვეყნის პოლიტიკურმა „მძიმეწონოსნებმა“ მსოფლიო საზოგადოებრიობის წარმომადგენლის ეს საქციელი, მეტყველებს მხოლოდ იმის შესახებ, რომ მათი დიპლომატია ძალიან მოგვაგონებს ცნობილ ანდაზას — „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირიო“.

„ვიკილიკსთან“ დაკავშირებული ისტორია, როგორც უნდა დამთავრდეს იგი, აღსანიშნავია იმითაც, რომ იგი, იმედი უნდა ვიქონიოთ, არის „საზოგადოების“ და „სახელმწიფოს“ ურთიერთობათა მომავალი განახლების სიმპტომი. ინტერნეტის წყალობით საზოგადოებისთვის რეალური შესაძლებლობის მაუწყებელი — სოციალური კონტროლი გაუწიოს ხელისუფლებას.

დღეს უკვე ცხადია, რომ მსოფლიო ობობას ქსელს შეუძლია გააერთიანოს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო მასშტაბით, ჩვეულებრივი ცხოვრებით მცხოვრები ხალხი. ოდესმე „ინტერესების მიხედვით“ ასეთ გაერთიანებათა წარმოქმნას შეუძლია და უნდა მიგვიყვანოს კიდეც მილიონობით ამომრჩეველთა გაერთიანებასთან ასობით მილიონი ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების საფუძველზე.

და უკვე აღარ გეჩვენება ფანტასტურად, რომ ამომრჩეველთა ინტერნეტ-გაერთიანებას შეუძლია მიგვიყვანოს ხალხის ცხოვრებისაგან მოწყვეტილი სახელმწიფოების წინააღმდეგ ორგანიზებულ დაპირისპირებამდე. და მაშინ შესაძლებელი გახდება ხალხის ნამდვილად დემოკრატიული მონაწილეობა თავიანთი ქვეყნების საქმეთა მართვაში.

**ვადიმ მუხაჩოვი,**
**ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი**

Литературная Газета

ტყვიის სროლა

# ჩუბინები – ცეცხლის ხაზზე



**გუშინ მიუნხენში დაიწყო ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში. ეს შეჯიბრება ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას ემსახურება, კონტინენტის პირველობას კი 1-7 მარტს იტალიური ბრეშია უმასპინძლებს.**

ალემანთა ქვეყანაში საქართველოს ნაკრები 7 სპორტსმენის შემადგენლობით ჩავიდა. უფროსებში ოლიმპიური ჩემპიონი ნინო სალუქვაძე და ლევან ქადაგიძე იასპარეზებენ, ახალგაზრდებში კი დავით სულაქველიძე, რომან ბაბაევი, ნინო ფანჩულიძე, თეონა იაშვილი და ანა გაგილაძე გაეჯიბრებიან თანატოლებს. ნინო სალუქვაძე ცეცხლის ხაზზე დღეს და ხვალ დადგება.

**ლექსო ცინცაძე**

ფიგურული ციგურაობა

# ევროპა ცეკვით დაიწყეს



**ბერნში ფიგურულად მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატზე მოცეკვავეებმა მოკლე პროგრამით იასპარეზეს. საქართველოს სპორტულ ღირსებას ოთარ ჯაფარიძე და ელისონ რიდი იცავდნენ.** პირველ დღეს მათ 48,86 ქულა დაიმსახურეს და მე-16 ადგილზე არიან. დაწინაურდნენ ფრანგები – ნატალი პეშალა და ფაბიან ბურტაზი (66,91ძ. მოცეკვავეები ნებისმიერი პროგრამით დღეს გავლენ ყინულზე. დღესვე მოსინჯავს ძალებს ევროპის შარშანდელი ჩემპიონატის მესამეადგილოსანი ელენე გედევანიშვილი.

**ლაშა დიდია**

ჩოგბურთი

# „სამაია“ – უდანაკარგოდ

**გრენობლის ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირში (საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარიძ წარმატებით ასპარეზობენ ჩვენებურები – მაკა ჩახნაშვილი, სოფიო შაფათავა და თათია მიქაძე, რომლებმაც უდანაკარგოდ გადალახეს საკვალიფიკაციო ბარიერი.** ძირითადი ბადის პირველ წრეში მიქაძემ მე-6 ნომრად განთესილ იტალიელს – ანა ფლორისს სძლია – 7:6, 3:6, 6:3, ხოლო ჩახნაშვილმა ტურნირზე „ველური ბარათით“ მიწვეული ფრანგი ფლორენს ჰარინგი დაამარცხა – 6:1, 6:4.

* * *

**გუშინ მელბურნში გაიმართა ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ქალთა ტურნირის ნახევარფინალური შეხვედრები. გაუწყებთ მათ შედეგებს:**

ნა ლი (ჩინეთიძ – კაროლინ



ვოზნიაცკი (დანიაძ 3:6, 7:5, 6:3; კიმ კლაისტერსი (ბელგიაძ – ვერა ზვონარიოვა (რუსეთიძ 6:3, 6:3.

ძიუდო

# სათასო შემადგენლობა გაირკვა

**დამდეგ შაბათ-კვირას თბილისის სპორტის სასახლეში ძიუდოისტთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი გაიმართება მსოფლიოს თასზე. შეჯიბრებაში საქართველოს ნაკრები 28 სპორტსმენით წარსდგება. მთავარმა მწვრთნელმა სოსო ლიპარტელიანმა გუნდი უმთავრესად საქართველოს ჩემპიონატის მედალოსნებით დააკომპლექტა. თბილისის ტატამზე საპრიზო ადგილებისთვის სულ მცირე 25 ქვეყნის წარმომადგენლები მაინც იბრძოლებენ (მათ შორის იაპონელები არ იქნებიანძ.**

**გაუწყებთ საქართველოს ნაკრების შემადგენლობას:**

**60 კგ.** დავით ასუმბანი, ბეთქილ შუკვანი, პაატა მერებაშვილი, ტრისტან ფეიქრიშვილი.

**66 კგ.** შალვა ქარდავა, გიორგი შოშიაშვილი, არსენ მაჭარაშვილი, ლევან ჩუბინიძე.

**73 კგ.** თენგიზ პაპოშვილი, ზურაბ ნოზაძე, ზვიად ბაზანდარაშვილი, ამბაკო ავალიანი.

**81 კგ.** გიორგი ბაინდურაშვილი, პაატა ღვინიაშვილი, ავთანდილ ჭრიკიშვილი, დავით კარბელაშვილი.

**90 კგ.** ლაშა გურული, საბა გავაშელიშვილი, არჩილ შინჯიკაშვილი, გიორგი ცოციაშვილი.

**100 კგ.** მალხაზ ნიჟარაძე, დავით ლორიაშვილი, კონსტანტინე მუკვანი, რევაზ ჩიკოიძე.



**+100 კგ.** ზვიად ხანჯალიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი, ნოდარ მეტრეველი, ვახტანგ ზოიძე.

საგულისხმოა, რომ თბილისის მსოფლიოს თასზე დიდი სარბიელიდან საზეიმოდ გააცილებენ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველ ოლიმპიურ ჩემპიონ ზურაბ ზვიადაურსა და ათენის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორ ნესტორ ხერგიანს, რომლებმაც აქტიური სპორტული კარიერა დაასრულეს.

**გივი გაგუა**

ინტერნეტიდან

## ისევ ანანდი და ნაკამურა



**ამჟამინდელი მსოფლიო ჩემპიონი ვიში ანანდი და ამერიკელი დიდოსტატი ხიკარუ ნაკამურა, დააგროვეს რა ჰოლანდიურ ვეიკ-ან-ზეეში მიმდინარე სუპერტურნირის ათ ტურში 7-7 ქულა, კვლავ ჩაუდგნენ სათავეში ცხრილს.**

პონომარიოვმა დაამარცხა გრიშჩუკი, ნაკამურამ – ვაშიე-ლაგრავი, ანანდმა – შიროვი, ხოლო ლ' ამი დამარცხდა ვან ხაოსთან, კარლსენი კი – ნეპომნიაშჩისთან. ყაიმზე შეთანხმდნენ გირი – არონიანი, სმიტსი – კრამნიკი.

10 ტურის შემდეგ ლიდერებს 6,5 ქულით მიჰყვებიან კრამნიკი და არონიანი, 5,5 ქულა აქვთ ნეპომნიაშჩის, კარლსენს, ვაშიე-ლაგრავს, 5 ქულა – გირს, პონომარიოვს, ვან ხაოს, 3,5 ქულა – სმიტსს, 3 ქულა – ლ' ამს, 2,5 ქულა კი გრიშჩუკსა და შიროვს.

## ხელოვნურ კომაში რჩება

**ტრასაზე დაცემის დროს სერიოზული ტრავმა მიიღო ავსტრიელმა სამთო-მოთხილამურემ ჰანს გრიუგერმა. ის კიტცბიულიდან ვერტმფრენით ინსბრუკში გადაიყვანეს. სწრაფი დაშვებისას ყინულოვან დალმართზე დაცემის შემდეგ ის გონზე არ მოსულა. კლინიკაში მისი ოპერაცია თავის ტვინზე 5 საათს გაგრძელდა.**

ამჟამად ექიმებს ოპტიმისტური პროგნოზები აქვთ. ისინი ამბობენ, რომ ქალის შიდა წნევა ნორმალურია და 29 წლის სპორტსმენის სიცოცხლეს



საფრთხე არ ემუქრება.

შეგახსენებთ, რომ გრიუგერის აქტივში ჩქაროსნულ დაშვებაში მსოფლიოს თასის ეტაპზე ოთხი გამარჯვება და კიდევ ოთხი ნაკლები ღირსების მედალია, ის ავსტრიის ნაკრებში ვანკუვერის ოლიმპიური თამაშების მონაწილეა.

## მესიც არ დაინდეს



**ესპანეთის ჩემპიონატის მე-20 ტურში „ბარსელონა“ – „რასინგის“ მატჩის მთავარმა მსაჯმა – იგნასიო იგლესიეს ვილიანუევამ დაინდო მსოფლიოს ორგზის საუკეთესო ფეხბურთელი ლიონელ მესი და ყვითელი ბარათი არ აჩვენა. მან მეტოქის კარში გატანილი პენალტის შემდეგ სიხარულით აიწია ბროწეულისფერი მაისური, რომლის ქვეშ მეორე მაისურზე ეწერა: „დაბადების დღეს გილოცავ, დედა“..., მაგრამ მსაჯმა ეს ფაქტი ოქმში მაინც შეიტანა.**

სამაგიეროდ თავისი სახელოვანი ფეხბურთელი არ დაინდო ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტმა და მესი 2-ათასი ევროთი დააჯარიმა, თანაც გააფრთხილა, რომ მსგავსი რამ აღარ გაიმეოროს.

## ფეხბურთელთა დირექტორი

**ძალიანაც ნუ გაიკვირვებთ. თუკი ჩვენში სანტექნიკოსი განათლების მინისტრი იყო, რატომ არ შეიძლება, ჩვენს მეგობარ პოლონეთში ჟურნალის „Playboy“ ვარსკვლავი ფეხბურთის კლუბის დირექტორი გახდეს?**

დიახ, ცნობილმა პოლონელმა მოდელმა იზაბელა ლუკომსკაია-პიჟალსკაიამ დაიკავა ფეხბურთის კლუბის „ვარტას“ დირექტორის სავარძელი. მართალია, ლამაზმანი აცხადებდა, რომ მას ფეხბურთისა არაფერი გაეგება და რომ მან ამ თამაშის წესებიც კი არ იცის, მაინც სწამს, რომ ეს ხელს არ შეუშლის კლუბის სასიკეთოდ წარმატებულ მუშაობაში და რომის მალე თავსაც ისახელებს.



პოლონეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონის გუნდში იზაბელამ უკვე დაიწყო ხელფასის ვალის გასტუმრება, ასევე შეიძინა სარეცხი მანქანა და საშრობი. უნდა, რაც შეიძლება, მეტი გულშემატკივრის მიზიდვა. ტრიბუნებზე მათ უფასოდ შეუშვებენ.

64 უჯრა

# მეფე შეიტყუა...

**გენიალური მოჭადრაკე – ასე შეაფასა მიხეილ ბოტვინიკმა ალექსანდრ ალიოხინი (1892-1946ძ. 1927 წელს ალიოხინმა მატჩში მსოფლიო პირველობაზე დაამარცხა ლეგენდარული ხოსე-რაულ კაპაბლანკა. დაძაბული ორთაბრძოლა (6 მოგება, 3 წაგება და 25 ყაიმიძ ალიოხინის გამარჯვებით დასრულდა.**



სამშობლოს მოწყვეტილი, ემიგრაციაში მყოფი ალიოხინი 1946 წელს დაეთანხმა ბოტვინიკის გამოწვევას მსოფლიოს პირველობის მატჩის მოსკოვში გამართვის თაობაზე, მაგრამ იგი მოულოდნელად მარტოობაში ჭადრაკის დაფასთან გარდაიცვალა. ალიოხინმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საჭადრაკო თეორიის განვითარებაში.

გთავაზობთ ალიოხინის ერთ-ერთ პარტიას, ჭადრაკის ვუნდერკინდად მონათლულ ამერიკის 8-გზის ჩემპიონ სამუელ რეშევსკისთან.

**შეტყუების ტაქტიკური ხერხისათვის არაერთხელ მიუმართავს ალიოხინს. ამჯერადაც მეფის შეტყუების გზით დაამარცხა მეტოქე.**



**ალიოხინი – რეშევსკი 1937**

1. ე : b8+! – მე:b8
2. ლ : e5+! –

**შავები დანებდნენ**

**მოამზადა თამაზ შენგელიამ**

ფაქტი

# „პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის" ხელმძღვანელად უწმინდესმა ლაშა ჟვანია წარადგინა

**სააკაშვილის ხელისუფლების ერთ-ერთი წარმატებული სახე და ეკონომიკის ყოფილი მინისტრი, რომელიც ნიკა გილაურის სკანდალური გადაწყვეტილების გამო პოსტიდან გაათავისუფლეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორეს გადაწყვეტილებით, პატრიარქის ფონდის გენერალური მენეჯერი გახდა.**

როგორც „პირველს" ლაშა ჟვანიამ განუცხადა, „ეს მისი ცხოვრების ყველაზე საპასუხისმგებლო და საპატიო შემოთავაზებაა".

„ცხოვრებაში ბევრი საპასუხისმგებლო და საპატიო შემოთავაზება მქონია, მაგრამ ასეთი საპატიო და ამასთან ერთად ალმატებულად სასიხარულო ჯერ არა და ალბათ, არც ოდესმე მექნება. იმაზე მეტი რა უნდა ვთქვა, რაც მისმა უწმინდესობამ ფონდის დაფუძნებისას განაცხადა: „ჩვენ გვექნება მჭიდრო კავშირი მეცნიერებათა აკადემიასთან, ჩვენს უნივერსიტეტებთან, უმაღლეს სასწავლებლებთან და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მეცნიერებს დავეხმაროთ, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ეროვნული და სახელმწიფოებრივი აზროვნება განმტკიცდეს ჩვენში".

ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავალი ერმა და ბერმა, საქართველოში მცხოვრებმა ყველა ადამიანმა ერთობლივი ძალებით, ერთსულოვნებით უნდა ვაშენოთ, პატრიარქის ფონდი კი ამის საუკეთესო საშუალებაა" – განაცხადა ჟვანიამ.

მისივე თქმით, პატრიარქის ფონდი ბევრი მიმართულებით მუშაობს, მათ შორის - დემოგრაფიული პრობლემატიკის, ანტინარკოტიკული საქმიანობის, ეროვნული სიმდიდრეების მოძიება-დაცვა-პოპულარიზაციის, ნავთობისა და გაზის ეფექტურად გამოყენების სტრატეგიის, ახალგაზრდებში ჯანსალი ცხოვრების წესის დამკვიდრების და სხვ.

„გარდა ამისა, საზღვარგარეთ მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან მუდმივი ინტერაქცია ჩვენი უპირატესი პრიორიტეტია", – დასძინა ჟვანიამ.

შეგახსენებთ, რომ პატრიარქის ფონდს ირაკლი ქადაგიშვილი ხელმძღვანელობდა, რომელიც რამდენიმე ხნის წინათ ირაკლი ალასანიას პოლიტიკური გუნდის წევრი გახდა.

ხსოვნა



**ი**მ ქვეყნად შენი გადანაცვლებიდან დღეს ორი
წელიწადი გაილია...
**რ**ა სიცივეა, რა უზომო, რა უცნაური... ჩვენ, მოკვდავნი,
ჯერაც სტუმარნი
**ა**მა სოფლისანი აგინთებთ სანთლებს და მის მწველ
ციალში შევთხოვთ
**კ**ეთილსა მწყემსსა, განაღოს კარნი სამოთხისანი და მის
დასამშვენებლად
**ლ**იტანიობის ჟამს გპოვოს, ვითარცა დაკარგული ის ბატკანი, პატიოსანი!
**ი**ნატრე შვილები და მოგევლინა ორი ანგელოზი: ნატა და ნიკოლოზი.
**ჯ**ანსაღნი, ზნეკეთილნი, გამგრძელებელნი შენი ხორციელი არსობისა.
**ი**გვიანებსო მოსვლას მამიკო, ნატას წამოცდა, ერთხელაც გათქვა:
**შ**ევხედოთ წამით, რა იქნებაო, მერე ისევ ყვავილები გადავაფაროთო...
**ი**ქნება ხილვის ეს წყურვილია სიცოცხლის უწყვეტობის მანიშნებელი,
**ა**ნ სულაც ნიკოლოზის გამოხედვაში კრთის შენი მარადიული მდინარება,
**შ**ეუცნობელი, ჯერ ბინდშეუმდგარი, მეწამულ მზესავით იდუმალი!
**ვ**ერასდროს, ვერავინ წაგართმევს იმ სიწრფელეს, რომელიც ასე გამაღლებდა!
**ი**ზრდებიან შენი უმცროსი ძმები: ტატო და შოთიკო, საბა კი კვლავ სწავლობს.
**ლ**ოცვად აღვლენილია მამაშენი, ყოველთა ჭირთა დამთმენი, მხნეობა მას!
**ი**ქ ხომ დედა გეფერება... ჰოი, ნათელო! ესხივმფენარე სულს ირაკლისას, ამინ !

საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის
ზედამხედველობის დირექციის თანამშრომლები

პიროვნება

# ორთოგრაფიული ლექსიკონის კორექტურას სიკვდილის წინა დღეებშიც კითხულობდა...

(მეცხრე გვერდიდან)

თუმცა ზოგჯერ აუცილებელი იყო კომპრომისი– ხელმოკლე სტუდენტი სტიპენდიას კარგავდა და უსახსროდ რჩებოდა. ბატონმა ვარლამმა უცოდინარ სტუდენტს მაინც ვერ დაუწერა დამაკმაყოფილებელი ნიშანი. დრო მისცა მოსამზადებლად და თან სტიპენდიის საქმეც მოაგვარა. ყველამ იცოდა, რომ უნივერსიტეტმა გამონაკლისი დაუშვა იმ სტუდენტის მიმართ (იმ ახალგაზრდამ ისე დაამთავრა სწავლა, რომ სინამდვილე არ გაუგია).

მოგვიანებით გაირკვა, რომ ბატონი ვარლამი თავისი ხელფასიდან ურიცხავდა ფულს ისე, რომ ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა მოლარის გარდა. მოლარემაც საჭირო დრომდე საიდუმლო შეინახა. მსგავსი მრავალი შემთხვევა ახსოვთ მის მოწაფეებს.

ბატონი ვარლამი უაღრესად თავმდაბალი პიროვნება იყო. ჩვევად ჰქონდა, წინ გაეშვა სხვა, უმცროსი კოლეგა, სტუდენტიც კი.

ცნობილია, რომ მან არ დაუშვა, 60 წლის იუბილე გადაეხადათ მისთვის. უკან გააბრუნა ინტერვიუს ასაღებად მისული ჟურნალისტები.

მის სტუდენტებსა და ასპირანტებს აკრძალული ჰქონდათ, სადიპლომო ან სადისერტაციო ნაშრომის დაცვისას მადლობა გადაეხადათ მისთვის, როგორც ხელმძღვანელისთვის. ბევრჯერ უთქვამს: ეს ჩემი მოვალეობააო. ეკრძალებოდათ ყვავილის მიტანაც კი..."

**აკადემიკოს ვარლამ თოფურია 65 წლის ასაკში გარდაიცვალა. ამ არცთუ ხანგრძლივ დროში რამდენი რამის გაკეთება მოასწრო და კიდევ რამდენის გაკეთებას შეძლებდა. უსაყვარლესი მასწავლებლის დაბადების დღე – 8 იანვარი მისი ნამოწაფრებისთვის უწმინდესი დღეა. „ასე გვგონია, რომ დღესაც თვალს ადევნებს ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს საქმიანობას და ვცდილობთ, ყველაფერი ვაკეთოთ ისე, როგორც მას მოეწონებოდა,"**–ამბობენ ისინი.

თამარ შაიშმელაშვილი

კოლეგები და თანაგუნდელები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მეგობრის და ცნობილი მოფარიკავის
მორის სახვაძის
გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

გოგი და არჩილ გოგელიები, იურა ოსიპოვი, გურამ ჯაიანი, ზურაბ ცქიტიშვილი, გივი ცაგარელი, მურმან ასათიანი, იზოლდა ესაიაშვილი, ჯულეტა გიორგაძე

---

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა იუწყებიან გამოცდილი სამეურნეო მუშაკის
ვახტანგ ქობულიას
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებს და ახლო ნათესავებს.

---

შპს „სპეცენერგორემონტი" ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ინჟინერი
ოთარ დუნდუა
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.





Political Association
"Unity for Genuine Idea"

ინფორმაცია

## დააკავეს მექრთამე ბუღალტერი

**ქრთამის მიცემის ფაქტზე ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს საქართველოს მოქალაქე, ინდმეწარმე „ბესიკ თითმერიას" ბუღალტერი მარი სარაპიანი.**

**გამოძიებით დადგენილია, რომ მარი სარაპიანმა საგამოძიებო სამსახურის სამეგრელო-ზემო სვანეთის სამმართველოს ერთ-ერთ ინსპექტორ-გამომძიებელს ინდ.მეწარმე „ბესიკ თითმერიას" ბუღალტერიის შავი ჩანაწერების რვეულების უკანონოდ დაბრუნებისა და გამოცვლის სანაცვლოდ ქრთამის სახით გადასცა ხუთი ათასი ლარი.**

**სამართალდამცველებმა მ.სარაპიანი უშუალოდ ქრთამის გადაცემის ფაქტზე დააკავეს .**

**მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ოთხიდან შვიდ წლამდე ვადით.**

ჯი-ეიჩ-ენი

## დაიჯესტი



### მკურნალი ტანგო

**არგენტინულმა ტანგომ დიდი ხანია მსოფლიო დაიპყრო – ამის მიზეზი კი მისი ექსპრესიულობა, მოცეკვავეების მოძრაობათა დახვეწილობა, გასაოცარი მუსიკა და გადამდები სასიცოცხლო ენერგიაა. მაგრამ, როგორც ბოლო დროს დადგინდა, არგენტინულ ტანგოს თურმე... თერაპიული სამკურნალო თვისებაც ჰქონია!**

ალმოჩნდა, რომ არგენტინული ტანგოს მოცეკვავე ხანდაზმული ადამიანები თავსაც თანატოლებზე უკეთ გრძნობენ, მათზე უფრო სწრაფადაც გამოჯანმრთელდებიან, ზოგიერთნი კი სულაც წამლების სმასაც თავს ანებებენ. თანაც, ტანგო, თურმე, კურნავს როგორც გულის სისხლძარღვთა დაავადებებს, ასევე დეპრესიებს, ფსიქოზებს, პარკინსონის სინდრომსა და სხვა.

ამასთან, დადებითი ეფექტი აქვს არა მარტო ცეკვას, არამედ მისი მუსიკის მოსმენასაც და სიმღერასაც კი. ფავილოროს გულის სისხლძარღვთა ცენტრში ჩატარებული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ ტანგოს დიდი სარგებლობა მოაქვს ინსულტის შემდგომი რეაბილიტაციის პროცესისთვის, აგრეთვე ჰიპერტონიით დაავადებულთა მკურნალობისას.

### დაკონსერვებული ყვავილები



**შეიძლება თუ არა მოხუფულ ქილაში სიცოცხლის შენარჩუნება? იაპონელმა აგრონომებმა დაამტკიცეს, რომ ამის გაკეთება შესაძლებელია.** დღესდღეობით ტოკიოს მაღაზიებში დაკონსერვებული ყვავილები იყიდება, უფრო სწორად ყვავილები კი არა, არამედ მათი ამოსული თესლი. მყიდველს ქილა შინ მიაქვს, ხუფს ხდის, შიგნით ცოტა წყალს ასხამს და მზეზე დგამს. სულ მალე ქილიდან თავს ყვავილები წამოყოფენ – იასამნისფერი ან ვარდისფერი.

საქმე ის არის, რომ სხვა ფერის ყვავილთა ჯიშები ჯერჯერობით კონსერვაციას არ ექვემდებარებიან.

### ურნასავით პირი

**„მისტერ ყველაზე დიდი პირი" – ეს ტიტული მიიღო ანგოლელმა ფრანსშიკუ ჟუაკინმა. მისი „ფოსტის ყუთივით" პირი მსოფლიოში ცნობილ გინესის რეკორდების წიგნში შეიტანეს. თუმცა, ზემოთ მოყვანილი შედარება ბატონ ფრანსშიკუს პირის მთელ „ეშხს" ნამდვილად ვერ გადმოსცემს, მას უფრო ქუჩის ურნასთან შედარება მოუხდება. უნდა ვიფიქროთ, რომ მას მადაც პირის გაბარიტების შესაფერისი აქვს...**



გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრილი კიდევ ერთი კაცია აღსანიშნავი, 18 წლის ნეპალელი გიენდარ ტაპა მაჰარი, რომლის სიმაღლეა 55 სანტიმეტრი. იგი ახლა 5 წლისაა და ყველა თავის თანატოლზე გაცილებით დაბალია. ექიმები აღნიშნავენ, რომ სიმაღლეში ზრდის შეჩერების მიზეზი მრავალია, თუმცა კი ცნობილია, რომ ჯუჯობას ზრდის ჰორმონის უკმარისობა იწვევს. ნორმალური ბავშვები სიცოცხლის პირველ წელს დაახლოებით 25 სანტიმერით იზრდებიან, მეორეში – 12-14 სანტიმეტრით, ხოლო 5-6 წლის ასაკიდან წელიწადში 5-6 სანტიმეტრს იმატებენ. ამიტომ, თუკი 3-4 წლის ასაკის ბავშვმა წელიწადში სიმაღლეში 4 სანტიმეტრზე ნაკლები მოიმატა, საჭიროა მისი ექიმთან მიყვანა.



### ერთი ულუფა სოკო – 500 დოლარი

**სოკოები, საშუალოდ, 90 პროცენტ წყალს შეიცავენ; სადღეისოდ შესწავლილია 100 ათასი სოკოს ნაირსახეობა.** მსოფლიოში ყველაზე დიდი – 140 კილოგრამის წონისა და დაახლოებით ორი მეტრი დიამეტრის მქონე ქუდის სოკო 1985 წელს, ამერიკის ვისკონსინის შტატში იპოვეს; ფუნგოთერაპიას – სოკოთი მკურნალობას – ბრონქული ასთმის, ჭრილობების სამკურნალოდ, ასევე იმუნიტეტის ამაღლებისა და სისხლში ქოლესტერინის შემცველობის დასაწევად იყენებენ; ტრიუფელი – მსოფლიოში ყველაზე ძვირიანი სოკოა, რომლის ზოგიერთი ჯიშის ერთი კილოგრამი 2,5 ათასი დოლარი ღირს; ევროპელთა 45 პროცენტი სოკოს თავად კრეფს, 15 პროცენტს ურჩევნია სოკოს მაღაზიაში ყიდვა, ხოლო თითქმის მეხუთედი სოკოს საერთოდ არ ჭამს.



## ცნობისმოყვარეთათვის

### სად, რა, როდის?

● ტარიფი პატარა კუნძულია ხმელთაშუა ზღვაში, გიბრალტარის სრუტის მახლობლად და ქალაქ ტარიფის მოპირდაპირედ. ორივე ნაპირზე ბატონობის დროს, არაბებმა კუნძულ ტარიფზე იმ გემებს, რომლებიც სრუტის შორიახლოს გაივლიდნენ, ტვირთის ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით გადასახადი დაუწესეს. თანდათან ტარიფული გადასახადების ცხრილების გამოყენება სხვა ქვეყნებმაც დაიწყეს და სიტყვა „ტარიფი" საზოგადო მოხმარების საგნად იქცა.

● პირველი საჭადრაკო აპარატი, რომელშიც ადამიანი იჯდა და ხალხს ეთამაშებოდა, შემთხვევით გამომჟღავნდა: წაგებით გაბრაზებულმა ერთმა ტეხასელმა აპარატს ესროლა და შიგ მჯდომი ოპერატორი დაჭრა.

● XIX საუკუნეში ინგლისის ქუჩებში დაინახავდით მორბენალ ადამიანს წითელი დროშით ხელში – ის ავტომანქანას მიუძღოდა წინ.

● ნაყინი ჩინური წარმოშობისაა, მისი ყველაზე გემრიელი სახეობა „პლომბირი" კი საფრანგეთში გამოიგონეს. პირველად ის ნაპოლეონ III-ს დროს, ქალაქ პლომბიერ-ლე-ბემში დაამზადეს.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77;
899 32-85-76.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8089 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4398 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8924 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0469 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | -2 – +5 |
| ქუთაისი. | +4 – +13 |
| ბათუმი. | +3 – +15 |
| ზუგდიდი. | +3 – +14 |
| თელავი. | -3 – +6 |

## ჭინჭარსიტყვა

### თქვენ მოგეცათ ჩქიმი ცოდა...

რად ჩავვარდი ასეთ დღეში, მივხვდი ცოტა:
პრეზიდენტმა გამანათლა სამშაბათს.
– ჩინელებო, თქვენ მოგეცათ ჩქიმი ცოდა –
ვერ მოუკლებთ შობადობას და ჭამას?..

თამაზ ილმელი

## კადრი



## ანეკდოტები

– რამდენი კაცი მუშაობს აქ?
– ბრიგადირიანად თუ უბრიგადიროდ?
– რა მნიშვნელობა აქვს?
– რა და ის, რომ უბრიგადიროდ საერთოდ არავინ არ მუშაობს.

* * *

– მიხო, რატომ არ ავსებ ჭიქას ნორმალურად? – ეკითხებიან ბარმენს.
– უკვე მოვხუცდი და ცუდად ვხედავ.
– მაშინ რად არ გადააპიპინებ ხოლმე არასდროს?
– ბრმა კი არა ვარ.



* * *

– სად ვიცხოვრებთ, შენს მშობლებთან თუ ჩემებთან?
– ეკითხება ცოლი ქმარს ქორწილის შემდეგ.
– ვიცხოვრებთ შენს მშობლებთან, შენი მშობლები კი – ჩემებთან.

* * *

მოვიგონე ახალი დიეტა. სანამ მაგიდას მიუჯდებოდეთ, აუცილებელია, რაც შეიძლება ბევრჯერ აიზიდოთ მკლავებზე იატაკიდან. ჯერ ერთი, მადა იკარგება, და მეორეც, ხელები გიკანკალებთ და ბევრს ვერ შეჭამთ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.